12 დეკემბერი № 1 1910 წელი

366

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხოვრება და ხელოვნება

1

ეროვნული ბიბლიოთეკა

აგენტურა

მეცირი ჯდება.

გთხოვთ ყურადღება მიაქცევ. 5 მ. ან თვეულად 50 კ. გამოიგზავნოთ

გთხოვთ ყურადღება მიაქცევ. 5 მ. ან თვეულად 50 კ. გამოიგზავნოთ

დღეს 12 დეკემბერს ბენეფისი ვასო აბაშიძისა.

1-ქმართა სკოლა, 2-გულმა იგრძნო

3-მუსიკა და დეკლამაცია.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია. დასაწყისი 8 საათზე

№ 1 12 დეკემბერი, 1910 წ.

ნოემბრის ფასი 10 კაპეიკი

ცხოვრება და ხელოვნება

შინაარსი: 1) სსს. შშშ... **საბაშელისა**; 2) პატრონატი—**კ. კიზირიანი**; 3) ***—**ი. გრიშაშვილისა**; 4) ილია ჭავჭავაძე, როგორც სიმბოლო—**კიტა აბაშიძისა**; 5) დიალოგი—**პ. ალტენბერგიდან**; 6) ვ. ჰიუგოსთან—**ა. შირსკისა**; 7) ***—**ი. მჭედლიშვილისა**; 8) ლ. ტოლსტოის ხსოვნას—**გრ. დიასამიძისა**; 9) მაცდური—**შ. არაგვისპილისა**; 10) რ. ნ. გველესიანი—**ა. პ. სარაჯიშვილისა**; 11) ღიმილი—**ალ. შანშიაშვილისა**; 13) პროზა და პოეზია—**იპართაგვანი**; 14) ძირითადი კ ანონი—**გ. გვაზავანი**; 15) რომანი—**ა. ყარაშვილისა**; 16) **მღვიმეში** ფანტასტიური სანახაობა—**შ. დადიანისა** 1—4 გვ.: 17) **როსტომიანი** შაჰნამედან 1—4 გვ.

მიიღება ხელის მოწერა

ყოველ კვირეულ ჟურნალზე (გამოდის 12 დეკემბრიდან).

ცხოვრება და ხელოვნება

ფასი: წლიურად 5 მან. ნახევარი წლით 2 მან. 50 კ. ცალკე ნომერი 10 კ.

ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილად, არა ნაკლებ ათი შაურისა. რედაქციამ მიმართა ყველა ქართველ მწერლებს, მეცნიერთ და მხატვარ-ხელოვანთ თანაშრომის მიღებისათვის. — განყოფილებათა **რედაქტორები**:

პუბლიცისტიკა ფ. გოგიჩაიშვილი
სიტყვა-კაზ. მწერლობა შ. არაგვისპირელი (ბელეტრისტიკა).
სიტყვა-წყობილი მწერლობა კ. მაყაშვილი (პოეზია).
პედაგოგიკა ალ. მდივანი
მხატვრობა და ქანდაკება ი. ნიკოლაძე
ისტორია ს. კაკაბაძე

მედიცინა — ვ. დამბაშიძე
მუსიკა — ზ. ფალიაშვილი
დრამა — ვ. შალიკაშვილი
სასცენო ხელოვნება — ვ. მესხიშვილი
კრიტიკა და ბიბლიოგრაფია ი. ვართაგავა
ბუნების მეტყველება — ს. იაშვილი
ტექნოლოგია — ბ. მამრაძე
მიმოხილვა — ვ. გუნია

რედაქტორი-გამომცემელი **ნ. ლორთქიფანიძე.**

რედაქცია. თბილისი, სათავად-აზნაურო ქალთა თეატრის გვერდზედ, ტელეფონი № 862. ხელის მოწერა მიიღება აგრეთვე თეატრის კასაში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში; გოლოვინის პროსპექტზე ი. კეკნაძის წიგნის მაღაზიაში „Новая Рѣчь“. Адресъ: Тифлисъ, Дворцовая, д. дворянства, рядомъ съ театромъ. Редакція «Цховреба да Хеловнеба». რედაქცია ღია 10—3 საათამდე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსსსს...
შშშშ...

ს. აბაშელი.

ღამეა ბნელი. ცა იცრემლება,
მიწას შესტირის შიშით მოცული;
მთის კაეშანი ჩრდილად იშლება,
წყვდიადს უძახის ბოროტი სული.
სიკვდილი დაძრწის, სიცოცხლეს სცელავს,
არსაით იმედი... არსაით შველა!..
მხოლოდ ხანდახან ცის კიდე ელავს,
ელავს და ჰქრება, და ისევ ბნელა...
სხივს მივსდევ ფიქრით, დავეძებ მზესა.
სიმართლეს ლტოლვილს მსურს დავეწიო,
შორით კი ისმის ლერწამის კვნესა...
सससससस

ეროვნული ბიბლიოთეკა

პატრონატი

პეტრე კიზირია.

თანამედროვე მრავალ და რთულ საჭირ-ბოროტო კითხვათა შორის არის ერთი კითხვა ერთობ რთული და მწვავე, რომლის მოგონება, თუ ღრმად დაუკვირდება კაცი, თავს ზარს სცემს მას. ეს არის კითხვა სისხლის სამართლის დანაშაულობისა და დამნაშავეთა შესახებ. მართალია, ბოროტმოქმედება და ბოროტმომქმედნი არ წარმოადგენენ რამე ახალ მოვლენას. კაცის კვლას, ძარცვას, ქურდობას და სხვა მრავალგვარ ცუდ კაცობას დიდი ხანია შეჩვეულია კაცობრიობა. ბოროტმომქმედნი დასაბამიდანვე მოღვაწეობენ თავიანთ ბნელ-მოსილ ასპარეზზე. კაცობრიობა დასაბამიდანვე ებრძვის მათ სასჯელით—რეპრესიით. მაშ, რა არის აქ ახალი ანუ საჭირ-ბოროტო, შეიძლება იკითხოს ვინმემ? მოხდა მკვლელობა, ძარცვა, ან ქურდობა,—პოლიცია ცდილობს აღმოაჩინოს და დაიჭიროს დამნაშავე, ბრალმდებელი და მოსამართლენი უმტკიცებენ მას დანაშაულობას და უჩენენ შესაფერ სასჯელს. თუ დამნაშავეს მოეპოვება რამე ქონება, ამ ქონებიდან აკმაყოფილებენ იმათ, ვისაც დამნაშავეთა ავ-კაცობით ზარალი მიეცა. ხოლო თუ დამნაშავეს არა მოეძევება-რა, ან დამნაშავე სულ არ აღმოჩნდა,—რა გაეწყობა? დაზიანებული ურიგდება თავის ბედს. საზოგადოებაში, როგორც ბუნების არსებაშიაც, ზოგ გამოშეებით ერთი-ორი უბედურობა აუცილებელია. მაშ რა არის აქ თავის სამტვრევი? ან როგორ გნებავთ მოსპოთ დედამიწაზედ ავ-კაცობა?—შეიძლება გვკითხოს ვინმემ.

თავ-სამტვრევი და საუბედურო ის არის, რასაც მოგვითხრობს დღეს ბოროტმოქმედებისა და ბოროტმომქმედთა სტატისტიკა. ეს სტატისტიკა გვიმხელს უცილებლივ ერთს საზარელ ამბავს: მიუხედავათ აუარებელ და უზომო ხარჯისა, რომელსაც ანდომებს მთავრობა დამნაშავეთა წინააღმდეგ ბრძოლაში, რიცხვი დამნაშავეთა მატულობს არა თუ ადამიანთა გამრავლების თანაბრად, არამედ უფრო მეტადაც. გერმანიაში, მაგალითად, ოცი წლის განმავლობაში (1881—1901 წ.) დამნაშავეთა გამრავლება აღინიშნა 34,6 პროცენტით, მაშინ, როდესაც იმავე ხანში ხალხის გამრავლება აღინიშნა მხოლოდ 15 პროცენტით. რუსეთში ოცი წლის განმავლობაში (1884—1903 წ.) დამნაშავეთა რიცხვი გამრავლდა 57 პროცენტით, ხალხი კი მხოლოდ 30 პროცენტით. თითქმის ამ რიგათ მატულობს რიცხვი დამნაშავეთა სხვა ქვეყნებშიაც, გარდა ინგლისისა. ინგლისში კი დამნაშავეთა რიცხვი კლებულობს 1877 წლიდან, რადგან ამ დროიდამ ინგლისელებმა ჯეროვანი ყურადღება მიაქციეს ამ მწვავე საკითხს და შეებრძოლენ ავ-კაცობას არა მარტო რეპრესიით, არამედ საზოგადოებრივ ორგანიზაციებით, რომელთა რიცხვში თვალსაჩინო ადგილი უჭირავს „ღარიბთა მხსნელ“ და „პატიმართა მფარველ“ საზოგადოებათ („Армія спасенія и Тюремный патронатъ“).

აქამდისინ მთავრობა და საზოგადოება დანაშაულობას ებრძოდა მხოლოდ ერთად-ერთი საშუალებით,—დამნაშავეთა დასჯით, ე. ი. ცნობილ რეპრესიით. ახლა კი გამოირკვა და მთავრობაც დარწმუნდა, რომ რეპრესია თითქმის უძლურია ამ საშინელ ბრძოლაში. რეპრესიის უძლურება ავ-კაცობის წინააღმდეგ ბრძოლაში დამტკიცდა მას შემდეგ, რაც სისხლის სამართლის მეცნიერებაში სოციოლოგიურ სკო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლის მომხრე მეცნიერებმა ჯეროვანი ყურადღება მიაქციეს იმ მიზეზებს, რომელნიც იწვევენ ჩვენს საუკუნეში დანაშაულობის ზრდასა და გაძლიერებას.

ამ მეცნიერების გამოკვლევით, დამნაშავეთა რიცხვის ზრდა, რომელიც შემჩნეულია ყველა სახელმწიფოებში, შედეგი არის თანამედროვე ეკონომიური წესწყობილებისა. თანამედროვე ეკონომიური წესწყობილება ორ მძლავრ კანონს ემორჩილება. თავისუფალ კონკურენციასა და შრომის დაყოფას. ამ მსოფლიო კანონების ძალით თანამედროვე მრეწველობა ჯერ იტყუებს სოფლიდან ურიცხვ ხალხს ქალაქებში და მერე ძალა უნებურათ აგდებს იმათ უმრავლესობას საშინელ და აუტანელ ეკონომიურ მდგომარეობაში. ეს პროლეტარიატი, მოკლებული ცხოვრების ყოველ საღსარს, იძლევა არსებობისთვის ბრძოლაში დამნაშავეთა იმ ჯგუფს, რომელთაგან ბრძოლა მარტოოდენ რეპრესიით შეუძლებელია.

სიმშილს სასჯელის არ ეშინიან.

მაშ რამ უნდა შეაჩეროს მშიერი ბოროტმოქმედებისაგან? რასაკვირელია, იზე დახმარებამ. აქ კი მთავრობა უძლურია. აქ არის საჭირო საზოგადოებრივი ოოგანიზაციები, რომელნიც დროზედ უნდა მიეშველონ ნამდვილ გაჭირვებულთ, სანამ მათ არ ჩაუდენიათ დანაშაულობა. ეს კარგად აქვთ შეგნებული საზღვარგარეთ, სადაც ამ მიზნით მრავალი საქველ-მოქმედო დაწესებულებაა დაარსებული, როგორიცაა მაგალითად, ზემოხსენებული армія спасенія ინგლისში და Innere mission“ გერმანიაში. ორიოდე ამათგვარი დაწესებულება დაარსებულია ჩვენ თფილისშიაც,—„ბავშვებზე მზრუნველი საზოგადოება“ და „კავშირი კაპეიკი“. ამ საქველმოქმედო დაწესებულებათა მიზნად აქვთ დასახული დახმარების გაწევა იმ ღარიბებისთვის, რომელთაც ჯერ არ ჩაუდენიათ დანაშაულობა.

მაგრამ რა ვთქვათ იმ „უბედურებზე“, რომელთაც დროზედ ვერ მოსწრებია დახმარება და ამის გამო ჩაუდენიათ დანაშაულობა? ვინ არ იცის, რომ დამნაშავეს, ე. ი. იმ პირს, რომელსაც ჩაუდენია ავკაცობა და ამისათვის მოუხდია სასჯელი, საზოგადოებაში ყველა ერიდება, მისი ყველას ეშინიან, მასთან სწყვეტენ კავშირს არა თუ ნაცნობები და მეგობრები, არამედ ხშირად ნათესავები და მშობლებიც კი ნატუსაღარს არავინ ეხმარება, რადგან მას ნდობა აქვს დაკარგული. ამნაირად ნატუსაღარი საზოგადოებაში რჩება მარტოდ-მარტო,—მოკლებული ზნეობრივსა და ქონებრივ დახმარებას.

ამის გამო ნატუსაღარი, რომელსაც დაკარგული აქვს იმედი მომავალში და შეგნებული აქვს ის უტყუარი აზრი, რომ საზოგადოება მას უსამართლოდ ექცევა, ჰკარგავს სრულიად ზნეობრივ მოსაზრებას და ხდება საზოგადოების მტრად. ამ მდგომარეობაში იგი ადვილად უბრუნდება ავ-კაცობას, სჩადის ახალ დანაშაულობას და ამ რიგათ ხდება „რეციდივისტი“, როგორც უწოდებს მეცნიერება დამნაშავეს, რომელსაც განმეორებული დანაშაულობა ჩაუდენია. „რეციდივიო“ (დანაშაულის განმეორება),—ამბობს პროფესორი ფოინიცკი,—ხდება უმეტეს შემთხვევაში მხოლოდ იმის გამო, რომ ნატუსაღარის მდგომარეობა საზოგადოებაში ერთობ უნუგეშო და გულსაკლავიაო“.

თუ ამ მდგომარეობას ჩავუკვირდებით და ამასთან მივიღებთ მხედველობაში იმასაც, რომ რეციდივისტები შეადგენენ იმ ჯგუფს, რომელიც თავს ზარს სცემს საზოგადოებას, ჩვენთვის ადვილი გასაგები იქნება ის შეურყეველი აზრიც, რომ ამ უბედურების წინააღმდეგ საბრძოლველად საჭიროა ნატუსაღართა დროზე დახმა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რება. ნატუსაღარს არა თუ უნდა ვერიდებოდეთ,—პირიქით, უნდა ვეძებდეთ მას, რომ მატერიალურ და ზნეობრივ დახმარებით იგი ადამიანად ვაქციოთ.

ეს აზრი დიდი ხანია შეგნებული აქვთ საზღვარ გარეთ, სადაც, როგორც ვთქვით, ნატუსაღართა დასახმარებლად ბევრი საზოგადოებაა დაარსებული. ამათში „შეპყრობილთა პატრონატს“ პირველი ადგილი უჭირავს ავ-კაცობის წინააღმდეგ ბრძოლაში. სიტყვა „პატრონატი“ იგივეა, რაც ჩვენებური „პატრონობა“; წარმოსდგება ლათინურ „patronus“-ისაგან (ბატონი, მფარველი, პატრონი) და სისხლის სამართლის მეცნიერებაში ნიშნავს ნატუსაღართა დახმარებას.

(დასასრული შემდეგ ნომერში)



შენ და მე

ი. გრიშაშვილი.

* *
*

შენ კრავი იყავ ყელ-მოღერილი,
მე თვალ უწვდენი, მთიანი კორდი;
შენ ნოტი იყავ ხელ-მოწერილი,
მე საოცნებო ცრემლის აკორდი.

* *
*

ვსტირი—ცრემსლს აფრქვევ! ვხარობ—იცინი!
ერთხელ დაგკარგე, მრავალჯერ გპოვე
რისთვის დამიწან დაფნის გვირგვინი?
ასე ღრმად გულში რად ჩამექსოვე?!!

ილია ჭავჭავაძე როგორც სიმბოლო

კიტა აბაშიძე.

ჩვენის ქვეყნის მეცხრამეტე საუკუნის ისტორია წარმონდგენს ღრმასა და საშინელს ტრაგედიას მეცხრამეტე საუკუნის ჩვენი უდიდებულესი მწერალი, რომლის დაბადების დღე შეიქმნა ჩვენთვის საეროვნო დღესასწაულად, მთელის თავისის სულიერისა და ფიზიკურის ცხოვრებით წარმოადგენს ჩვენის ერის განაწამების ცხოვრების სიმბოლოს. აიღეთ მისი „კაცია ადამიანი?! განა თუ სიმბოლო არ არის ჩვენის უდარდელობისა და უზრუნველობისა ლუარსაბი და დარეჯანი? ამ ვაჟბატონებს, ცა თავზედ ემგვრევათ და ფეხ ქვეშ დედა-მიწა ეშლებათ, რადგან ირღვევა ის წესწყობილება, რომლის წყალობით შეეძლოთ დილიდან საღამომდე ტახტზე გდება და ბუზების თვლა. იგინი კი ამ დროს სარკმელში შემომშუქარ მზის სხივსაც კი გაქონილ ქაღალდს დაახვედრებენ და ზედ ნემსით ჩხვლეტენ ამგვარ

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიბრძნით აღსავსე ლექსებს: „დათვი ხეზედ, როგორ გავა, იავ ნანინაო“.

განა სიმბოლო არ არის ჩვენის ცხოვრებისა „ოთარაანთ ქვრივი“? ეს ცარიელი, მტკიცე და შეუდრეკელის ხასიათის დედა, რომლის გაზრდილი ერთად ერთი შვილი, თავსა და სიცოცხლეს განიწირავს „ბატონებისათვის“ ისე, რომ ამ „ბატონებს“ ვერც კი გაუგიათ მისი ერთგულების დიდებულება? განა სიმბოლო არ არის ჩვენის ცხოვრებისა „განდეგილი“ ეს საუკეთესო ნაწარმოები ჩვენის ახალის მწერლობისა? რას ვხედავთ შიგა? ერთის მხრით „განდეგილის“ უარყოფა ცხოვრებისა უსაზღვრო და დაუსრულებელი რომელიც შეეძლო ეგრძნო და გამოეხატა უბედურებაში ჩავარდნილის ერის მგოსანს, ხოლო მეორეს მხრით მშვენიერის მწყემსის-ქალის სიცოცხლისა და ცხოვრების გაღმერთება, რომელიც შეეძლო შეექმნა მხოლოდ ჩვენის მშვენიერის ბუნებისა და ხალხის შვილს. იგი ნაწარმოები წინასწარმეტყველური განსახულებაა ჩვენის ცხოვრებისა. უმწეოა და უნუგეშო მდგომარეობა ჩვენი, მაგრამ მაში მოიძებნება თესლი ბრწყინვალე და მშვენიერის მომავლისა, და ვინც „განდეგილივით“ დღეინდელობით გამწარებული ზურგს შეაქცევს და თავს არ მოიხრის ჩვენის ერის და ქვეყნის გულში დამარხულის ძალის წინაშე, „განდეგილივით“ დაიღუპება და მოისპობა.

ხოლო უდიდესი, საუცხოო სიმბოლო ჩვენის ცხოვრებისა არის თვით ის სიკვდილი, რომელიც მივანიჭეთ დიდებულს მგოსანს, როცა ია და ვარდის გვირგვინის ნაცვლად შუბლი სისხლით შეღებეთ.

განა სიმბოლო არ არის ჩვენის ბედისა, ასეთი უმოწყალო მოქცევა ერისაგან, რომელსაც შესწირა მთელი თავისი დიდებული ცხოვრება ჩვენგან ეკლის გვირგვინით დაჯილდოვებულმა პოეტმა. განა თუ განსახულება არ არის ეს სიკვდილი იმ ერის ცხოვრებისა, რომელსაც ერთგულებისა და მეგობრობის წილ აღმოფხვრას უპირებენ.

განა სიმბოლიურის სიღრმით არ არის აღვსილი ის, რომ მისგან გაზრდილმა მისმა ერთგულმა და თავდადებულმა ერმამ, მისთვის თავგანწირულმა ჩვენგან კი უმადურად მივიწყებულმა, მასთან ერთად დალია სული? ამ მშვენიერისა და ქართველის ერისთვის აწ წმინდანად მისაჩნეული ერმის სული, განა თუ სიმბოლო არ არის ახალის საქართველოისა, რომელიც ერთ დღეს ბუხლს მოიყრის ტანჯულის მოძღვრის საფლავის წინაშე და ნიშნად სინანულისა უბრალოდ დაღვრილის სისხლის გამო, სისხლის ფრის ყვავილებით შეამკობს მას.

მწველია განუზიარებელი სიყვარული, მაგრამ მომხიბვლელობითაა აღსავსე, ვითა უზადო, უსასყიდლო მსხვერპლი. გულის გამგმირავია უარყოფილი მეგობრობა, მაგრამ დიდებულობითაა მ[illegible]ი, ვითა ფასდაუდებელი განძი.

ხოლო თავზარ დამცემია საზ[illegible]დო მოღვაწეობა ეკლის გვირგვინით შემკობილი და შოლტით გვემული, მაგრამ კარგად ვიცით, რომ ერს და ხალხს მარტო ის დაუსახავს ღმერთად და ზე- კაცად, თაყვანის საცემად-ის მიუჩნევია ვისთვისაც თავდადებულის ღვაწლისათვის ჯვარი შ[illegible]ეუთავაზებია, საწამლავი.

იესოს მცნების შეურყეველ საძირკვლად დაედვა ჯვარი და ლურსმანი. სოკრატის მოძღვრებას საწამლავი ციურ ცვარად გაუხდა.

ვიქონიოთ იმედი, რომ ჩვენის დიდებულის მოძღვრის სამშობლოზედ ფიქრითა და ვარამით აღსავსე შუბლში გაცივებული ტყვია ქვა-კუთხედად შეექმნება ჩვენი ერის გათვითცნობიერებასა, მის ეროვნულ მკვდრეთით აღდგომასა და მხოლოდ მაშინ გვექნება ნება წრფელის სინანულის ცრემლები დავღვაროთ საფლავის წინაშე და ერთხელ და სამუდამოდ გადაჭრილი პასუხი მივცეთ იმ წყეულ კითხვას, რომელიც მას სიცოცხლეს უშხამავდა, „როდისღა აყვავდება მისი საყვარელი მამული“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიმილი

ა. შანშიაშვილი

შენი ღიმილი მთვარის შუქზედ უნაზესია,
თითქოს ჯერ ტურფას არ'სად ტანჯვით დაგიკვნესია.
შენ უნდა მარად უკვდავების ნაკადსა სვამდე;
იყავ კურთხეულ, უკუნითი უკუნისამდე!...

* *
*

ი. მჭედლიშვილი

ლამაზო, შენი ხვევნისა
გამიასკეცდა წყურვილი,
მინდოდა შენი ამბორი,
არ ამისრულდა სურვილი:
მე გამოლმა ვარ,—შენ გალმა;
შუაზე მოდის მდინარე.
ხიდიც აღარსად აღარ სდევს, —
ცრემლი მწვავს ჩამ...მდინარე.

დიალოგი

(თარგმანი ალტენბერგიდან)

* * *

სკამზე ცაცხვის ძირში სხედან ქალი და ვაჟი.

ქალი: გსურთ მაკოცოთ?

ვაჟი: დიახ!

ქალი: ხელზე?

ვაჟი: არა!

ქალი: ტუჩებში?

ვაჟი: ტრაა!

ქალი: თავხედობთ!..

ვაჟი: მე მინდოდა მეთქვა: თქვენი კაბის კალთის ბოლოზე.

ქალი ფითრდება.

ვიქტორ ჰიუგოსთან

ალ. შირსკისა.

თ ა რ გ მ ა ნ ი ხ ე ლ თ ნ ა წ ე რ ი დ ა ნ.

1900 წელს, შემთხვევითი სამუშაოს ძიებაში, როგორღაც დოქტორი კოკის (koch) ბინის ჭარებთან მოვხვდი, სორბონის უბნის ერთ-ერთ უდარდელ ქუჩაზედ.

მე ენტუზიასტი ვარ ფრანგთა იმ ოლიმპიელისა, რომლის თხზულებანი jules Ruff et cie პატარა გამოცემაში, როგორც საფრანგეთის braves lignards-ები. რიგ-რიგათ მეწყო წიგნების თაროზედ—hoibile dictu!—ღვთიური გეტეს ნაწარმოებთან ერთად.

დოქტორ კოკის კარებთან ზარი დავრეკე, გულში კი ზარსავით ისმოდა, ეს არის ეხლა წაკითხული ლექსი »les teuilles d'autom e«-დგან: „თვალუწვდენელსა ჰორიზონტზედ ყური დავუგდე, იმ ხმას, რომელიც ხან ყუჩდება, ხან უცბათ ისმის, აი, იმ ჩურჩულს დარცხვენილსა, იმ ყრუ ჟრიამულს აქ რომ მოისმის და იზრდება თანდათანობით, ეს ხალხი არის, და სხვ.

დოქტორი კოკი დიდი ჰიუგოს ახლო მეგობარია და იმისთვის, როგორც ამბობენ, ცოტა სამსახური არ გაუწევია; ჩრდილში კი მხოლოდ იმიტომ დარჩენილა, რათაც დაშორებული ვარსკვლავები იმალებიან და ჰქრებიან, როცა დიადი მზე ამობრწყინდება ხოლმე. ადამიანი მშვიდი მოსიყვარულე, სიძულვილისათვის მიუდგომელი. არ ვიცი ცოცხალია კიდევ თუ არა—დიდი ხანია მას აქეთ, მაგრამ თუ გარდაიცვალა, მაშინ ამ საჩქაროთ დაწერილ სტრიქონებში უეჭველია პირველათა ვსცემ მას ღირსეულ პატივს „ცხოვრება და ხელოვნების“ ფურცლებზედ.

უცაბედი შეხვედრა... შემთხვევითი ნაცნობობა...

— ბ. კოკის ნახვა შეიძლება?

— მობრძანდით, ბატონო!

კაბინეტში შევედი; იქიდან იმ წამსვე გამოიქცა ორი ლიცეისტი—დოქტორ კოკის შვილე-

ბი. კიდევ ერთი წამი და ჩემსკენ გამოეშურა ჭაღარა თმიანი მოხუცი და ორივე ხელი გამომიწოდა. მე გავიჭიმე, როგორც სამუშაოს მაძებარ პროლეტარს შეშვენის. საქმე მარტივია:—რუსეთის სამეცნიერო აკადემიამ რიღაცისათვის შესცვალა ჩვეულება თავის წევრთა თხზულებანი ფრანგულ ენაზედ ებეჭდა. მე, ამბობენ, რომ ძალიან საინტერესო შრომა მივიღე ბარონ როზენისა, მაგრამ, ამ ნაბეჭდს რომ უცქერი, თავს ზანგათა ვგრძნობ; მომიტევეთ, ჩვენ ერთმანეთს ხომ არ უნდა ვერიდებოდეთ!...

ამ სიტყვების შემდეგ მე თანდათან ადამიანის სახეს ვიღებ და თავს თითქმის საფრანგეთის მოქალაქეთ ვთვლი. საქმეზე ბაასი ხუთ წუთს გაგრძელდა.

— არა გნებავთ ამ კიბეზედ ამომყვეთ? მე თქვენ ძალიან საინტერესო რასმეს გაჩვენებთ.

დაქანებული კიბით ზემო სართულში ავედით. გაიღო კარი და ნათელს ჩვეულებრივათ მოწყობილ მანსარდში შევედით. ვხედავ..: ძველი ჩუქურთმიანი შკაფები, გრეხილი სკამები, თაროები, ფანჯარასთან ძველი, ძალიან ძველი, მთლათ დაფხაჭნილი მაგიდა, მის წინ ასეთივე ძველი სავარძელი, დაბალი ზურგით, კედლებზედ რამდენიმე სურათი და გრავიურა... პაპათა მოწყობილება მემკვიდრე შვილის-შვილის მოსვლამდის დაკეტილი. გავკვირდი... რა არის აქ საინტერესო?

დოქტ. კოკი მამჩნევს გაკვირვებას და მითითებს ვიქტორ ჰიუგოს სურათზედ, რომელიც კედელზედ ჰკიდია და დინჯათ მეუბნება:

— ბატონო, მე და თქვენ ახლა ვიქტორ ჰიუგოსთნა ვართ სტუმრათ.

— ?

— ჩემმა მეგობარმა ვიქტორ ჰიუგომ სიკვდილის წინ თითქმის მთელი თავისი ხელსაწყო მე დამიტოვა. ეს სკამები, მაგიდები, რასაკვირველია თავისათ არათა ღირან, მაგრამ—მოიგონეთ რა იყო ჩემთვის ვიქტორ ჰიუგო, რა იყო ის საფრანგეთისათვის და თქვენთვისაც რუსებისათვის —ასე არ არის?—და თქვენ გაიგებთ, რომ ეს პროზაიკული ნივთები ჩემთვის იმათ გახდნენ, რაც, მაგალითად, ებრაელთათვის წმინდა თორაა. მე ამათ თვალის ჩინისავით უფრთხილდები; ისე დავაწყე ყველაფერი, რომ ოთახები ცოტათი მაინც მაგონებდნენ იმ ოთახებს, სადაც ჰიუგო სცხოვრობდა. აი მაგიდა, რომელზედაც მან თავისი «პატარა ნაპოლეონი კუნძულ დიურსიზედ“ დაწერა... აი სავარძელი, საცა მას დასვენება უყვარდა... აი სიკვდილის წინ მეგობრებისაგან ნაჩუქარი კალმის ტარი—მან ამითი დასწერა ყველა თავისი უკანასკნელი ნაწარმოები. მეორე ოთახში გავიდეთ, თქვენ იქ ჩემი დიადი მეგობრის მხატვრობათა კოლლექციას ნახავთ... ვიქტორ ჰიუგო ხომ მხატვარიც იყო, მერე ჩვეულებრივი კი არა—ეს თქვენ ალბათ არ გეცოდინებათ...მე ამ ოთახში მოვაგროვე ყველა დოკუმენტები, რაც კი ვიქტორ ჰიუგოს ცხოვრებას და მოღვაწეობას შეეხება; საარჩევნო მოწოდებანი, კარიკატურები, პლაკატები, ფოტოგრაფიული სურათები და სხვანი. ყველა ეს ნაშთნი ჩემთან ინახებიან დროებით, რამდენიმე თვის უკან კი ყველა მუზეუმში შევა, იმ მუზეუმში, რომლის დაარსებაზედ პარიზის მუნიციპალიტეტმა ამას წინათ თანხმობა გამოაცხადა. ამ მუზეუმს სახელათ ვიქტორ ჰიუგოს მუზეუმი ერქმევა. Muzeé de Victor Hugo...

. . . . . .

რა ჯადოსნური ძალა აქვს მოგონებას ეზრში წარმომდგარი სახე მკვდრებს აცხოველებს და ამოძრავებს დიდი ხნის წარსულის მკრთალს ჩრდილებს. რა მისტიური ძალა აერთებს სულიერს ქვეყანას იმ ქვეყანასთან, რომელსაც ჩვენ, არ ვიცი რათ, უსულოს ვეძახით, არა ორგანიულს? როგორ უყვარს ადამიანს ყველაფრის განსაზღვრა, დაყოფა, ყველაფრის ვიწრო, სათუო ზღუდეში მოქცევა!..

განა ცხოვრების ერთი სული—ეს ყველას მიმწდომი Weltgeist—არ განიმსჭვალვის ყველაფრით, რაც სჩანს, ან რის შეხებაც შეიძლება?

იქ, სადაც მხოლოდ მიზეზთა და შედეგთა ხლართვაა—იქ სიმშვიდე, სიკვდილი არ იქნება.. ადამიანო? შენ ხომ მხოლოდ ქმნილების გვირგვინი ხარ, შენ ხომ უკანასკნელი, უნაკლო შედეგი ხარ პირვანდელი მიზეზისა! Am Anfang war die That! სთქვა დიდებულმა გეტემ—და die that ხომ საქმეა, ცხოვრების მაჯის ცემა, აქტიური დასაწყისი, რაც სულმა ყველაფერს შთაბერა, რაც მიდის, რაც იცვლება.

მოგონებანი მერევიან თავში და რასაც კი ვხედავ, ყველას აცხოველებენ... ვიქტორ ჰიუგოს აჩრდილი დადის ამ ოთახში... დიაღ, მე ვიქტორ ჰიუგოსთანა ვარ სტუმრათ! მე სურვილი მომ-

დის ჩავჯდე ამ სავარძელში, რომელზედაც ასე ხშირათ დაუსვენიაა დიდებულ პოეტს, დავეყრდნო ამ მაგიდას, რომელზედაც საფრანგეთის ოლიმპიელი, ოლიმპზედ დამარხულ თავის თანამედროვეებს რამდენიმე საუკუნით წინ რომ გაუსწრო, სწერდა თავის „პატარა ნაპოლეონს“, ავიღო კალმისტარი, რომელიც ოდესღაც ეიქტორ ჰიუგოს ეჭირა ხელში...

— ბატონო, მივმართე დოქტორ კოკს: ნება მიბოძეთ ამ სავარძელში ჩავჯდე, ამ მაგიდასთან.

— ინებეთ!

— ნება მიბოძეთ ეს კალმისტარი ავიღო, მინდა ხელში დავიჭიროო..,

დ. კოკმა გამომიწოდა კოხტა კალმის ტარი, რომლითაც ვ. ჰიუგომ თავისი ანდერძი დაწერა, და გაკვირვებით თვალებში შემომხედა.

— ახლა ნება მიბოძეთ კალამი მელანში ამოვაწო—მინდა დღევანდელი დღის სახსოვრათ ამ კალმით რამე დავიწეროო...

— აი მაგის ნებას კი ვერ მოგცემთ... კალამი ისე დაჟანგებულა, რომ იქნება ქაღალდის შეხებას ვერც კი გაუძლოს...

ერთმანეთს შევხედეთ თვალებში და გაგვეღიმა...

დიაღ, მე ეიქტორ ჰიუგოსთან ვიყავ სტუმრათ...

პროზა და პოეზია

I

იპ. ვართაგავა

თხზულებანი ორნაირი: პროზაიკური და პოეტური. ხშირად ურევენ ერთმანეთში ფრაზებს: „პროზაიკური თხუზულება“ და ,,თხზლება პროზით დაწერილი''. სიტყვა პროზა ორაზროვანია: პროზა, როგორც მოპირდაპირე პოეზიისა და პროზა, როგორც მოპირდაპირე დექსისა.

პროზა ლათინური სიტყვაა. ფრაზა ,,oratio proversa'' ნიშნავს გაბმულს, მიჯრილ საუბარს, ე. ი იმისთანა საუბარს, რომელიც ავსებს მთელ გვერდს და არ იწერება მოკლე სტრიქონებით, როგორც დექსი. ,,დექსი'' და ,,პოეზია'' თანასწორ მნიშვნელოვანი არ არიან: კანონიერი, სწორი და ტკბილ ხმოვანი დექსი შეიძლება სრულებით მოკლებულ იყოს პოეზიას: მაგ. დექსად შეიძლება გამოითქვას ღრამატიული კანონები; ძველად ხშირად ასეთმეტიკაც დექსად იწერებოდა.

მეორეს მხრით, ბევრი თხზლებანი, დაწერილნი პროზით, საუკეთესო პოეტურ ნაწარმოებად უნდა ჩაითვალოს, მაგ. თხუზულებანი გოგოლისა, ტოლსტოისა, ტურგენევისა, ეაზიბეგისა და სხვა.

განსხვავება ,,პროზასა'' და ,,დექსს'' შუა გარეგნულია. პირველ შეხედვითვე შეიძლება ეს შევნიშნოთ; განსხვავება ,,პროზასა'' და ,,პოეზიას'' შუა კი შინაგანია და არსებითი. რომ სწორეთ განვსაზღვროთ, პოეტურია თუ პროზაიკური რომელიმე თხზულება, აუცილებლად საჭიროა წინასწარ დავსება მისი შინაარსის და ფორმისა.

ჩვენ ვარჩევთ პროზაიკურ თხზულებებს: 1) მათი დანიშნულებით; 2) მათი მოქმედებით ადამიანზე და 3) აზრთა გამოსატვით და გამოთქმით.

პროზაიკური თხუზლებები უმეტეს შემთხვევაში ემსახურებიან ცოდნას (მეცნიერება, ფილოსოფია, რელიგია) და პრაქტიკულ ცხოვრების მოთხოვნილებებს, რომლებიც მრავალ ფეროვანი არიან (სახელმძღვანელოები, კანონთა კრებულები, სხვა და სხვა აქტები). რაც-კანაც პროზაიკურ თხზულებებს მიზნათ ცოდნა აქვსთ დასახული, ამისთვის ისინი მოქმე-

დობენ ჭკვა-გონებაზე, უზიარებენ ადამიანს სხვა და სხვა აზრებს და ცნობებს. ამასდა მიხედვით, მრავალნაირ სიტყვის მასალიდგან, ისინი სარგებლობენ მხოლოდ ისეთ სიტყვებით, რომლებიც ადნიშნავენ შემეცნებებს, ზოგადი წარმოდგენებს და ლოდიკური აზრთა მიმდინარეობას. პირველ ეოვლისა ბრიზა ტდილობს გამოსთქვას აზრი ნათლად, გარკვევით. საგნის აწერის დროს მას მომეტებულად აინტერესებს არსებითი და მუდმივი მისი თვისებები, და არა ისეთები, რომლებიც საგანს ატეხოვლებენ, ასურათ-ხატებენ. სულ სხვას წარმოადგენენ პოეტური ნაწარმოებნი. პოეტურ ნაწარმოებებს არა აქვს მეცნიერული მნიშვნელობა. და თუ ისინი ხანდისხან მეცნიერულს, მაგ: ისტორიულ ცნობებს იძლევიან, ეს მათი ზედმეტი დირსებათ უნდა ჩაითვალოს. იგივე ცნობები, რასაც პოეტური ნაწარმოებნი გვაწვდიან, ვრცლად ჩვენ შეგვიძლიან შევითვისოთ ისტორიულ თხზულებებიდგან. პოეტური ნაწარმოებნი მით უმეტეს არ ემსახურებიან პრაქტიკულ ცხოვრების მოთ ოვნიდებებს. თუ პოეტური ნაწარმოებნი ზნე-ჩვეულებებს კიცხავენ და ასწორებენ, თუ მაგ., „Записки изъ мертваго дома“ დოსტოევსკისმ ხელი შეუწყო კატორღლების მდგომარეობის გაუმჯობესობას, — ჩვენ ასეთი მნიშვნელობის და სარგებლობისთვის კი არ ვკითხულობთ ამ გვარ ნაწარმოებებს: ეს მხოლოდ მათი დამატებითი, გარეშე მნიშვნელობაა. ერთის სიტყვით, ჩვენ ვაფასებთ პოეტის ნაწარმოებს არა იმ სარგებლობის მიხედვით, რომელიც მას შეუძლია მოიტანოს; არა ამ სარგებლობისთვის ვკითხულობთ, ადტაცებაში მოვდივართ და ვამაყობთ მით. პოეტური ნაწარმოები თავის თავად, თავისი პოეტური ფორმებითაა ჩვენთვის ძვირფასი. პოეტური ნაწარმოები სახსრად არ უნდა იქმნას ხმარებული.

მაშასადამე დირსება პოეტური წარმოებისა არ განიზომება მისი მეცნიერული და პრაქტიკული მნიშვნელობით; მისი დირსება ხელოვნურ თვისებებშია, რომლებიც თავისებურად მოიქმედებენ ადამიანის სულზე. ეს ზედ-გავლენა გამოიხატება ორს პროცესში: 1) პოეტურ ილიუზიაში და 2) პოეტურ შთაგონებაში.

განსაკუთრებული თვისებები პოეტურ ნაწარმოებისა იმაში მდგომარეობს, რომ ის ერთბაშათ მოქმედებს ადამიანის სულის ეოველ მხარეებზე, მთელს სულზე; ის აიძულებს მკითხველს განსაზღვრულად იფიქროს, წარმოიდგინოს, იგრძოს და ისე იბერობს მის არსებას, რომ ავიწყებს თვით გრძნობას და იმ სინამდვილეს შეგნებას, რომელიც მას გარს არტყია. ნატვლად ამისა ის ოცნების ფრთებით გადაფრენს მას სულ სხვა მხარეს, უხატავს თვალ წინ სიოცნებო და ილიუზიურ არსებობას. მკითხველს ეჩვენება, „გონია, რომ ის ვითომდა ხედავს და მონაწილეობას იღებს სხვის ცხოვრებაში, რომელიც ავტორმა დაასურათხატა და ეს ცხოვრება აინტერესებს ეგრეთვე, როგორც საკუთარი.

გონების მიქცევა, რომელიც თვის ნაწარმოებში ჩაქსოვა ავტორმა, სდევნის მკითხველის თავიდგან საკუთარ აზრს და მძლავრად მკვიდრდება მის ნატვლათ: აიძულებს ცხოვრების ჩვეულებრივ მიმდინარეობაში განიცადოს ადტაცება, ლმობიერება, ვნებათა მდელვარება, გაბედვა. ასეთი თვისება პოეზიისა, რომელიც საშუალებას გვაძლევს დროებით განვშორდეთ საკუთარ არსებობას და რამოდენიმე ხნით მაინც ვიცხოვროთ სხვა გრძნობა-ინტერესების სფერაში, მორთულობა-მოწყობილობაში და თვითგრძნობაში, — ასეთი თვისებას დიდი მიმზიდველობა და ფასი აქვს ჩვენთვის. ეს თითქოს ათვრთოებს ჩვენს, ხშირად უსრულ და ჩვეულებრივ, არსებობას და ნებას გვაძლევს, სანამ გრძელდება პოეტური ილიუზია და პოეტური მომხიბლვა, განვიცადოთ მრავალგვარი სულის კვეთება და გრძნობათა ღელვა. პოეზიის ზედმოქმედების წყალობით მკითხველი ბოლობს თვის არსებაში ისეთ სულიერ მხარეებს, რომლებიც წინეთ მისთვის უცნობ-გაუგებარი იყო და სცხოვრობს ხშირად სულის იმ მხარეებით, რომელიც ცხოვრების სინამდვილეში გამოუსადეგარია. ამნაი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რად ბოეზია საშუალებას იძლევა ადამიანმა და ადამიანში დაფარული ეროვნული ბოტენციალური ძალები და მით გამოაცოცხლოს და მით განაახლოს სული.

და რამდენად ბოტი უფრო ნიჭიერია და მკითხველი უფრო შემოვისებელი, იმდენად სრულად გამოიხატება ძალა ბოეზიისა, იმდენად დიდხანს გვამეოფების ილიეზიული და ალეგორიული ატმოსფერაში. ხშირად მოხდება ხოლმე, რომ მკითხველს უკვარს ან სძულს ბოეტისაგან დახატული გმირები: ბაძავს მათ, დასტირის მათ ტანჯვა-ვებას, ბედნიერია მათი ბედნიერებით და სხვა. რაცა ის თავს ანებებს წიგნის კითხვას, ხშირად იძულებულია ძალა დაატანოს თავს, რომ გამოიდგეიძოს ბოეტური ძალისაგან'' მაგრამ ბოეტური ზედგავლენა მკითხველზე მარტო ამით არ თავდება. ბოეტურ ნაწარმოებს ის თვისებაც აქვს, რომ მძლავრად აღძრავს ადამიანში მოგონების უნებლიეთ ბრუნვას. ამ ბრუნვას დიდი ადგილი უჭირავს ჩვენს სულიერ ცხოვრებაში; მისი კავშირი ვრცელდება არამც თუ ჩვენს წარმოდგენაზე, არამედ ემოციებზედაც (გრძნობა სურვილი). ყველამ იცის, რომ, როდესაც ჩვენ ვიგონებთ რომელიმე ადგილს, ამავე დროს ვიგონებთ იმ გრძნობასაც (სიხარული უბედურება, შეურაცყოფა), რომელიც ჩვენ იქ განვიცადეთ; ან და ხშირად თვით გრძნობა გვაგონებს ადგილს, საგანს, პირებს. ჩვენ ხშირად გვაგონდება არამცთუ ის, რაც პირადად გვიგრძნია, შთაგვბეჭდვია გარეგნულ გრძნობათა მეოხებით, არამედ ისიც, რაც გაგვიგონია, წაგვიკითხვია, შეგვისწავლია, გვიფიქრია. ამ ძალაერად ამდგზნებელ ბრუნვას ეძახიან პოეტურ შთაგონებას. ეს ბოეტური შთაგონება იმდენად უფრო მძლავრი და მრავალ მხარეოვანია, რამდენად სრულია ბოეტური ილიეზია; თუმცა ხანდისხან დაუსრულებელი, ოდნავ აღნიშნული ბოეტური გამოხატვა და სურათი უფრო ძლიერად აღვიძებს მკითხველის ფანტაზიას, მომართავს მთელს მის არსებას. მკითხველი თვის აღგზნებულ ფანტაზიით ითითონ ასრულებს სახეს, თითონ შეაქვს ბოეტის ნაწარმოებში საკუთარი გრძნობა — შემეცნება. და რამდენად მკითხველი მდიდარია ცოდნით და გამოცდილებით, რამდენად სრულია მისი სულიერი ცხოვრება, იმდენად ბოეტის დაუსრულებელი სურათი გამოდის ცოცხალი და დამთავრებული მკითხველის ხელიდგან. ამნაირად მკითხველი მონაწილეობას იღებს ბოეტურ შემოქმედებაში, ეს შეადგენს მისი აუცილებელ უფლებას და ბოეტს არ შეუძლია ამაზე არ დასთანხმდეს. ბოეზიამ რომ ასეთი ღრმა და ეოველ მხრივი კავშირი იქონიოს ადამიანის სულზე, ის უნდა სარგებლობდეს ენის ეოველივე სიმდიდრით; ამას უნდა მიემატოს მოქმედება რითმისა, ხანდისხან აუსიკისა, კერძოთ დრამატიულ ბოეზიაში — ასცენა მოქმედება და მოწეობილება. ჯერეოვნად რომ ისარგებლოს ბოეტმა ენის მასალით, მან უნდა სხვა ხერხს უნდა მიმართოს, ვინემ ბრიზაიკ მწერალმა. იმ დროს, როდესაც ავტორ-ბრიზაიკი გადმოგვცემს რიგ-რიგად, სისტემატიურად სუეველაფერს იმას, რაც იცის საკანზე, ბოეტი-ავტორი გადმოგვცემს ამასვე რამოდენიმე სურათებით: თვისი თხუზულების შინაარსს ანაწილებს სურათებად.

ამნაირად ბოეტი ხშირად თვისი ნაწარმოების მდიდარ შინაარსს გადმოგვცემს და გამოხატავს რამოდენიმე სახეში. მათში ის ჩაქსოვს თვის ისეთს სულიერ მდგომარეობას და ძალას, რომელიც აღაგზნებს მკითხველის გონებას, წარმოდგენას და გრძნობას.

თუ პირდაპირი შინაარსი სახისა ან მთელი ნაწარმოების განსაკუთრებით უბრალო და უმნიშვნელო შედარებით იმ აზრთა და გრძნობათა სიმდიდრესთან და სიღრმესთან, რომელსაც მთააგონებს სახე, მაშინ მას აწერენ სიმბოლიურ ხასიათს. ხანდისხან ბოეტური სახე იღებს სიმბოლიურ ხასიათს დროთა განმავლობაში, როდესაც მისი ახლობელი შინაარსი კარგავს უმთავრეს მნიშვნელობას და ადგილს უთმობს ფართე, გარდუვალ ფსიხოლოგიურ მნიშვნელობას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეონ ტოლსტოის ხსოვნას.

გრიგოლ დიასამიძე.

ამას წინად სატახტო ქალაქების გაზეთებმა მოიტანეს ამბავი Ясная Поляна-ზედან სადგურ Щекино-დან რკინის გზის შტო მიჰყავთო...

ეს უბრალო ამბავი სხვა დროს არ იქნებოდა ისე საგულისხმიერო, როგორც ახლა, როდესაც ჩვეულებრივმა ჩარხის ტრიალმა მოუსპო ქვეყნიერობას სხვოსანი მთიები.

მართლაც მაშინ, როდესაც საოცარი მოხუცი ცოცხალი იყო, რა იყო გასა-



ლეონ ტოლსტოი 1828—1910 წ.

კვირველი ვისმე მოსვლოდა აზრად საკუთრად მის ბინამდინ რკინის გზის გაყვანა?!.

მაგრამ ახლა, როცა დიდებულმა სულმა თავის სააქაო გამოსახულება დაჰკარგა, ეს ამბავი მეტად შესანიშნავია და გულის სასიამოდ ამაღელვებელი.

დაიბადა სურვილი უკვდავ არსებასთან გაერთიანების». თითქოს ყველას სურს ბრძენი მოხუცის საფლავი ცხოველმყოფელ წყაროდ გაიხადოს.

ამ ამბავში იხატება სიძლერე იმ პიროვნებისა, რომელიც ლეონ ტოლსტოის სახელით მოევლინა ქვეყანას მის დასამშვენებლად.

მაშინ, როდესაც ცოდვილმა ადაძის შვილმა, არ ვიცით ვის ჩაგონებით, ეს მშვენიერი სამფლობელო გახრწნა და გაათახსირა, მაშინ, როდესაც სააქაო მოკლე

ცხოვრება მწარე წუთების კრებულად გარდაიქცა, ამ დროს სცხოვრებდა ჩვენ შორის ეს დიადი პირი, ადამიანის ბუნების მარტო კეთილი მხარეს გამომსახველი.

მხოლოდ დიდ ბუნებოვანს იშვიათს არსებას შეეძლო უარეყო თავის წარსული ცხოვრება, თავის წინანდელი ყოველდღიური სურვილი, მისწრაფება, გამოეჩინა მხოლოდ ის, რაც ღვთაებას, ბუნებას ჩაუსახავს ერთხელვე ადამიანში საყოველთაოდ სიკეთის და სიამის მოსაფენად.

დიად! ლეონ ტოლსტოი ღვთიური სიყვარულის გამოსახვა იყო, მისი გაცისკროვნებული სიმბოლო და სწორედ ამაშია მისი სიძლიერე, მისი განსაკუთრებულობა!..

რამდენი მწერალი უნახავს დედა-მიწას, რამდენი გენიოსი გასჩენია მას, მაგრამ ყველას არ დასცლია საშუალება და დრო მთლად სრულიად დაენახვებინა თავისი თავი კაცობრიობისათვის. ლეონ ტოლსტოისაც ამ მხრითაც ხვდა იშვიათი ბედი. მან იცხოვრა 82 წელი, დასწერა აუარებელი ლიტერატურული და ფილოსოფიური თხზულება, შეჰქმნა მთელი თავისი სარწმუნოებრივი მოძღვრება.

მწერალ-გენიოსს, ხომ, მაშინ დაუჩნევია დიდი ნათელი კვალი, ხალხისათვის ჭეშმარიტი ცხოვრების მაჩვენებელი, როდესაც მას ადამიანს გულში ღრმად ჩაუხედავს და მისი ჭირ-ვარამის გასაქარწყლებლად შესაფერი მალამო გამოუძებნია.

ლეონ ტოლსტოიც სწორედ ამგვარ იშვიათ მწერალ-გენიოსთა გუნდს ეკუთვნოდა.

შეიძლება ყველასათვის ვერ გამოსძებნა მან უებარი წამალი, მწარე ტკივილების დამაამებელი. მაგრამ ეს საოცარი სიყვარული ადამიანისადმი, მედგარი ბრძოლა შემბორკველ პირობებთან, მუდმივი ძიება ჭეშმარიტებისა და ცხოველმყოფელ იდეალისა—ეს საუცხოვო სურათი ვის არ აღუძრავს გულში საუკეთესო გრძნობებს, ვის არ მოიყვანს განცვიფრებაში?!.

და აი ჩვენც ვხედავთ. მისი დიადი სულის და სხეულის გაყრის ჟამს ყველას დაჰვიწყებია თავის ყოველ-დღიურობა, აზრი, ფიქრი, მიმართულება, ნათესაობა, ეროვნება და პირზე აკერია მხოლოდ ჩვენი დროინდელი გენიოსის სახელი. ყოველი ადამის შვილი, ვისაც კი გულის მგრძნობიარე სიმები არ დაჰჩლუნგებია, საზენაო გრძნობებით გამსჭვალულა.

დიად ლეონ ტოლსტოიმ შეჰქმნა მთელი სარწმუნოება. ხალხი ახლაც სთვლის მას წინამორბედად, წინასწარმეტყველად. გავა დრო, მას რელიგიის დამწყებადაც აღიარებს.

მაგრამ ეს სარწმუნოება, ეს რელიგია არ იქნება ჩვეულებრივი, ყოველდღიური. ეს იქნება რელიგია ადამიანის გულის გაკეთილშობილებისა, ადამიანის ღვთაებად გარდაქმნისა.

რელიგია ადამიანის ცხოვრების ყოველმხრივი გაუმჯობესებისა, საიქაო საიმოთხის სააქაოდ გადმოტანისა.

ეს სარწმუნოება არ საჭიროებს გარეგან საზარ-ზეიმო გამოხატვას, სამყვირალოზე გამოსვლას. იგი საჭიროებს მხოლოდ მგრძნობიარე გულს. ეს არის მისი ერთად-ერთი ბინა, საუკეთესო წალკოტი, აყვავებულ მშვენიერ კეთილ გრძნობებით შეფერადებული.

აქ ამ შინაგან სამფლობელოში ისახება მხოლოდ ღვთის სამეფო, ძალადობის სურვილი ისპობა და მყარდება მარტოდ-მარტო კეთილშობილური გრძნობა, პატიოსნება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადამიანი, ამგვარი გრძნობით გამსჭვალული, თვითონ, უხელჯოხიანებოდ, ამყარებს გარემო თვისსა სიმშვიდეს, სიყვარულს და ბედნიერებას.

აი დიადი მიზანი დიდებული მოხუცისა!.. ადამიანის ღვთაებად გარდაქმნა...

რა ღრმა რწმენაა ადამიანისადმი!.. რა პატიოსანი ძიებაა!..

და აი ამ განსაკუთრებულ წმინდა არსებას ხვდა წილად დევნა და ცილი.

რა არ დასწამეს მას, რა არ მოუგონეს!.. ორპირობა, ოინბაზობა!..

მაგრამ ყველა მზაკვარი სდუმდა მაშინ, როდესაც ძლიერმა სულმა მოიწადინა გაშორებოდა ყოველდღიურობას, მიეტოვებინა ჩვეულებრივი ბინა, ოჯახი და გასდგომოდა იმ მყუდრო ადგილს, სადაც შეძლება მიეცემოდა უფრო გაეღვივებინა მასში ჩასახული ღვთიური ნაპერწკალი.

მაგრამ თითქო ვიღასაც შეჰშურდა ეს ბედნიერება წუთისოფლისათვის...

არ დაგვცალდა გვენახა იშვიათი სურათი. ძლიერ სხეულს გაშორდა უძლეველი სული და დაობლდა კიდეც კაცობრიობა.

ესლა დაგვრჩენია. ჩავიხედოთ ხოლმე ჩვენს გულში და დავეკითხოთ, ისმის თუ არა კიდევ სიყვარულის, ერთობის მქადაგებელი ხმა დიდებული მოხუცისა? თუ ისმის, სჩანს ამაო არ ყოფილა ამ ქვეყნად მისი მოვლინება.

ანარეკლი გრძნობით განვიმსჭვალოთ ჩვენც და დავემხოთ ხალხისაგან ნაკურთხ მის წმინდა საფლავის წინაშე...

მაცდური

ქართული გარდმოცემა

(ვუძღვნი დედას)

I. **შ. არაგვისპირელი.**

...აგერ, შვილო, აი, იქ, მუხის ქვეშ რომ ყორეა, იქ თურმე ერთი ბერი ჩაქოლეს... მეტყოდა ხოლმე დედაჩემი პატარაობისას. იქით ნუ გაივლი უდროუდროოთ, იქ მაცდურია. კარგი არ დაეყრება იქ მოხეტიალეს.

მეც შიშით იქით გავლას კი არა, გახედვასაც ვერიდებოდი.

განა მარტო მე?!.

მთელი სოფელი.

მუხა მთის კალთაზე იყო ამოსული. მთის გვერდობებზე კი შეფენილი იყო უზარ-მაზარ საყდრისა, გალავნისა და საბეროების ნანგრევები, ნაშთები, რა საც მხოლოდ ატეხილი ჭინჭარ-კანაფი და შამბი ღა ასულდგმულებდა.

ამბობდენ: „ჯოჯო და გველი იქ ბუზანკალივით ირევაო“. მაგრამ სოფლიდან მისვლას ვერავინ ბედავდა. მაცდურისა ეშინოდათ.

მუხის ქვევით ვაკეზე ნასოფლარი მოსჩანდა. ისიც მაცდურის ფარგალში იყო შეტანილი.

ხბო რომ შესულიყო ამ ფარგალში, პატრონი ვერ მიჰბედავდა იმის გამოსაგდებათ შესვლას. უნდა იქ ყოფილიყო, ვიდრე თითონ ხბო არ მოისურვებდა გამოსვლას.

რა ხბო?!.

თუნდ ძროხა, ცხენი ან კამეჩი!!.

ამბობდენ: მაცდურის საზღვრებში შესულ ძროხას, თუ იწველიდა, ძუძუ უშრებოდა, უღლის ქვეშ მომუშავეს კიდევ ფეხის სიდამბლავე მოსდიოდა.

ამის გამო ნახირის მოსვლის დროს სოფელი თავის საქონლებს ეგებებოდა და საჩქაროდ შინისკენ მიერეკებოდნენ.

თუ ვინიცობაა რომელიმე ხარი, ან ძროხა შემთხვევით პატრონი შინ წაყვანას ვერ მოასწრობდა, და მაცდურის სამეფოში ამოჰყოფდა თავს მაშინ იქიდან გამოსვლას ელოდენ, და გამოსვლის უმალ სასოფლოდ ჰკლავდენ. სიმღთოს სწირავდენ. მთელი სოფელი იმ დღეს ხორცს სჭამდა.

ან კი ვის რად უნდოდა წელ-მოწყვეტილი ხარი, კამეჩი, ძროხა ძუძუ გამშრალი და ხბო, რომელიც არ გაიზრდებოდა და ურელადოდ მოკვდებოდა...

II.

...კი არავისგან გამეგონა, თუ ოდესღაც წმინდა იმ ადგილას მაცდური როგორ შეიპარა.

და, აი, ერთ საღამოს, როდესაც ნახირს მივეგებე და ძროხა შინ მოვაგდე, დედას შევეხვეწე:

— ძუძუებში გენაცვალე, დედი, მიამბე, რად ჩაქოლეს ბერი?!.

— კარგი, გენაცვალოს დედა... აი, ძროხას მოვწველავ და გიამბობ მანამ შვილო, ჩინჩხვარი მოაგროვე და ცეცხლი დაანთე რძის ასადუღებლად, და მეც ჩამოვწველავ.

დედაჩემი ძროხას მიუჯდა. მე კიდევ საჩქიროდ ჩინჩხვარი მოვაგროვე. ფიჩხს წვერები წავუმტვრიე. მეზობლის ბანის გვირგვინიდან ბოლი ამოდიოდა. იქით გავქანდი და ჯამის ნატეხით ორი ნაკვერცხალი მოვარბენინე. ძროხის ახლოს (ზაფხულობით იქ ვანთებდით ცეცხლს) ცეცხლი გავაჩაღე. დედამაც სავსე საწველელი აქაფებულ რძით ქვაბში ჩაცალა და ზედადგარზე შემოდგა.

— აი, გენაცვალოს დედა, შვილო, როგორ შეეპარა მაცდური იმ წმიდა ადგილს: მაცდური ხომ იმის მაცდურია, რომ შებილწოს, თორემ არა-წმიდებს რაღა შეცდენა უნდათ.

დედის მუხლს ამოვუჯექი და სულ განაბული ყურს ვუგდებდი.

ფუჩინო კი თავის დედის ჩამოწველილ ძუძუებს ლოღნიდა აქაფებულ პირით და თან უკმაყოფილობიან თავს უბრაგუნებდა ცურში, რომ მეტი რძე მოეცა იმისთვის.

...იქ კი.. დედამ ხელი ნანგრევებისკენ გაიშვირა... დიდის ხნით სიწმიდე დუღდა და გადმოდიოდა... მთელ საქართველოში იყო იმის სახელი განთქმული. როცა იმის დღეობა იყო, თურმე მთელ საქართველოდან მლოცავი მოდიოდა. აი, მაცდურმა სწორედ ეს საბერო ამოირჩია და დიდხან უარა გარს, დიდხანს, მაგრამ ვერას გზით ვერ შეუვიდა... ვერც ერთი ბერი ვერ ჩაუვარდა ხელში.

დაძმარებული მაცდური გარს დასტრიალებდა იმ წმიდა ადგილს, გონს ვერ მოდიოდა, თუ როგორ შეემუსრა ეს სიწმიდე.

ერთ დღეს—შავ და უკულმა დღეს—გახარებული მაცდური მივიდა ოცი წლის ჭაბუკის სახით საბეროს კართან და მოწიწებით კარი დაუკაკუნა.

— წმიდანნო, მიმიღეთ მწირად... ღმერთს აღვუთქვი სიკვდილამდის იმის ტაძარს ვემსახურო. დაიწყო კნავილით, როდესაც ერთმა მოხუცებულმა ბერმა კარი გაუღო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოდი. მოდი... შვილო, წინამძღვარს მოვახსენებ და...

ამ დროს ცეცხლმა იფუვლა, შრიტინი დაიწყო...

— იი, შენ და შენ ეშმაკსა!.. წამოიძახა დედამ და ქვაბი ზედადგრიდან ძირს ჩამოდგა.

— შენც კი მაცდური ხარ, შვილო, ამ ამბობაში რძე გადმომივიდა!..

— მერე, დედი?!.

— მერე ისა, რომ მერე გიამბობ. ეხლა არა მცალიან, უნდა შევადედო.

— ქაფ-ქაფ რძეს როგორ შეადედებ?!. სანამ რძე შესადედებლად გაგრილდება, მანამ მიამბე!

— მანამდის მაწვნის ქოთნებს დავამზადებ, და შენც რომ ხბო მოაშორო ძროხას, კარგს იქ, თორემ ძუძუებს დააჭრის!..

III.

...დედა აფუსფუსდა. ქოთნებს რეცხვა და წმენდა დაუწყო. მეც ავყევ იმის შას... ხბო ჩქარა მოვაშორე ძროხას და თავის ადგილს დავაბი. ძროხამ თავისუფლათ დაიწყო ფშუნვა... დაწვა. ამოიცოხნა. მაშ კარგად არის და ჩქარაც დაიძინებს... მოჰყვება ღრმა ოხვრას, თითქოს მთელი ქვეყნიერობა იმის კისრის საზიდი იყოს.

დედაჩემმაც ნეკა თითი ჩაყო რძეში სითბოს გასაგებად. ჩაასხა მაწვნის ქოთნებში, რაც დარჩა კოჭობში და ყველას დედა დაურია ციცხვით. წაჩულა თაროზე... მეც უკან დავდევდი.

როცა თავის მაწვნის შედედებას მორჩა, მე ძუძუებში ხელი ჩავუყავ და ვაკოცე.

დედას ძალიან უყვარდა, როცა იმის ძუძუებს ვსრესდი და ვკოცნიდი. მაშინ ყოველ ჩემ ჯინს ასრულებდა.

...ჰო, და... განაგრძო დედამ... ის ადამიანის სახით შევიდა საბეროში. მერე კი თავის სამაგალითო ყოფა-ქცევით ყველას მაგალითი იყო. სიწმიდით ბერებს გადააჭარბა. ბერათაც ჩქარა აკურთხეს და სახელად ბერობაში მახარე უწოდეს... როცა ბერათ აკურთხეს, მაშინ ხომ ყველა გააკვირვა თავის სიწმიდით და ცოდნით. ჭიანჭველასაც ფეხს არიდებდა, რომ არ გაეჭყლიტა. „ესეც ღვთის ქმნილებაა“—ამბობდა ჭიანჭველაზე—„იცოცხლოსო“, და სახარება და სამოციქულო ხომ სულ ზეპირად იცოდა...

ვინ შეეკამათებოდა მახარეს?!. ვერავინ ვერა ჰბედავდა. წინამძღვარიც კი გაჩუმდებოდა ხოლმე, როცა მახარე ლაპარაკს დაიწყებდა. ლოცვით კიდევ თავის თავს ჰკლავდა. როცა უნდა ყური დაგეგდო: დღე, ღამე, შუაღამისას, განთიადისას, ყოველთვის იმის ოთახიდან ხმა გამოისმოდა.

...იმის იქ ყოფნაში სამი წინამძღვარი გამოიცვალა. დაბერდა იქ.

მესამე წინამძღვარის არჩევის დროს ის უნდოდათ აერჩიათ, მაგრამ სთქვეს: „შეტის შეტმა სიწმიდემ ბერაც წაწყმიდა. ვაი, თუ მაგის სიწმიდემ ყველა წაგვწყმიდოსო“ და სხვა ამოირჩიეს წინამძღვრად. კათალიკოზს ძალიან ეწყინა, რომ მახარე წინამძღვრად არ ამოირჩიეს... მაგრამ რა გაეწყობოდა, ახლად ამორჩეული წინამძღვარი დაამტკიცა და დაავალა; „მახარეს განსაკუთრებულ ყურადღებით მოქცეოდა“. რა დავალება უნდოდა ახლად ამორჩეულ წინამძღვარს, როდესაც თითონაც კარგად იცოდა მახარეს ძალა. ვერაფრით ვერ გაუმკლავდებოდა მახარეს:

ვერც ენით, ვერც ცოდნით, ვერც სიწმიდით და ვერც ვერაფრით?.. მახარეც სრულებით არ ნაღვლობდა. არც სწყენია, რომ არ ამოირჩიეს. აბა, რაღა სიწმიდე იქნებოდა, ამ სოფლის დიდებაზე რო ეფიქრა?!.

როცა მახარეს შეეკითხნენ სხვა ბერები: ვინ გინდაო, უპასუხა: ვინც თქვენ გინდათო.

სთქვა ეს და შეიკეტა კარები.

IV

მთელ საქართველოში მახარეს სახელი გაითქვა, მაგრამ იმისი მნახველი კი ცოტა იყო. ღვთის-მშობლობის ერთი თვის წინად საქართველოს მოედო ხმა: „ამ ღვთის-მშობლობას მახარე ბერი იქადაგებსო“. უმთავრესი საყდარი ამ საბეროსა ღვთის-მშობლის დაბადების სახელობაზე იყო აშენებული.

პირველ ენკენისთვიდან იწყო დენა ხალხმა. შვიდს უკვე მეფე და კათალიკოზი მობძანდნენ, არე-მარე საბეროსი ხალხს ვერ იტევდა. საღამოს ლოცვა მეფისა და კათალიკოზის თანადასწრებით გამოიყვანეს. ღამის თევა დიდებული იყო. არე-მარეს კაშკაში გაჰქონდა. ცისკრამდის ტკბილი სიმღერა და ლხინი არ შეწყვეტილა. დიდება უფლისა იმ ღამეს დუღდა და გადმოდიოდა, ია და ვარდად ეფინებოდა ყველას, მსმენელთ და მნახველთ გულს სიამით ულბობდა.

უცხო რომ ვინმე მოსულიყო ამ დროს იქ, იტყოდა: „აი სამოთხე სადა ყოფილაო“!!.

ცისკრისას ყველა სასოებით აივსო. ღვთის-მშობლის ტაძარს მიაპყრო თვალი და სასოებით იწყო ლოცვა. მეფე და კათალიკოზი ცისკარსაც დაესწრნენ.

მწირველი ხომ კათალიკოზი იყო. დადგა წირვა და ამის მომსმენელს სხვა აღარა მოენატრებოდა რა. ცხრა გუნდი გალობდა.

მახარე ბერი არავის ჰჩვენებია. კარ ჩაკეტილში იჯდა და რას აკეთებდა და რას არა, არავინ იცოდა. არც საღამოს ლოცვას, არც ცისკარს და არც წირვას არ დასწრებია. „უთუოდ ქადაგებისთვის ემზადებაო“... ამბობდენ.

შუა დღე იქნებოდა, როცა მწყობრად გამობძანდნენ მეფე და კათალიკოზი ღვდელ ბერებით და ცხრა გუნდ მგალობლებით და გალობით მუხის ახლოს დადგნენ.

მარტო მეფისა და კათალიკოზისთვის იყო სავარძლები მომზადებული. ისენი დაბძანდნენ. ყველას თვალი მახარე ბერს ეძებდა.

ამ დროს ბერების ჯგუფი გაირღვა და მედგრად, ახოვანის ტანის ბერად ჩაცმული, უფრო მეომარი, ვიდრე ბერი, მუხის ქვეშ დადგა. სწორედ იმ ადგილას, სადაც ეხლა ყორეა. იმის ნახევრად გაჭაღარავებულ გრძელ წვერს და თმას ნიავი უფრიალებდა და ბადეთ ეფარებოდა იმის ცეცხლის მკვესავ თვალებს.

...ბერებმა პირი დააღეს. ველარ იცნეს მახარე ბერი! მახარე ბერი კი, ისევ მახარე ბერი იყო, მაგრამ სადღაა იმის თავდაბლობა, სათნოება, იმის ან წყნარი სიარული?!. რა ბერები?!. მთელი ერი განცვიფრებული და პირღია დარჩა. მახარე ბერი ქვესკნელიდან ამონატყორცნ ცეცხლის ნაგლეჯს უფრო გვანდა, ვიდრე ერის წარმოდგენაში გაქნილ სათნოიან მახარე-ბერს.

წამს ასე იდგა მახარე-ბერი გაჩუმებული... ყველა იქ მყოფთა თვალებიდგან აებნენ სიმები და მახარე-ბერში გამოინასკვნენ... კვანძი კი დიდდებოდა, დიდდებოდა და აქ მყოფთა გულს შეუბრალებლივ ჰსრესდა, ჰჭმუჭნავდა...ერთ წამსაც რო

ისე გაჩუმებული ყოფილიყო მახარე-ბერი, თავზარ დაცემული ხალხი, ვინ ეტყოდა, რა ნაირათ აბღავლდებოდა...

მაგრამ ამეტყველდა მახარე-ბერი...

V.

... ამეტყველდა მახარე ბერი, და მერე რა ნაირად?! თითქო ცა ჰექავსო, ისე ეფინებოდა ხალხს მისი ხმა... „ხალხო... გმინავდა მახარე ბერი:“ გაიგეთ, რა სასტიკად ვებრძოლი ჩემ გონებას ამ ოცდა ათის წლის განმავლობაში, მას აქეთ, რაც მე თავი შევაფარე ამ საპყრობილეს, გონების საპყრობილეს... და ხელი ტაძრისაკენ გაიშვირა... ვქეჯნიდი, ჯვარს ათი ათასჯერ ვაცვი, მაგრამ ყოველ-წამს ხელიდან გამისხლტებოდა და დაცინვით მეუბნებოდა: „სულელო. არ გესმის რას შვრებიო!...“ და მართლაც არ მესმოდა, ვერ შევიგნე თუ რა მკვლელობა შემეძლო ჩამედინა.., ვიდრე ვსდევნიდი ჩემ საღ გონებას, ვგრძნობდი ლაჩრობას, მონობას, უძლურებას და რაღაც ბურტყუნით, თვალების ბლატუნით ვლამობდი სიმშვიდის მოპოვებას.... უსაქმურად, უმოქმედოდ გდება მეგონა, მეგონა სულის სიმშვიდე....“

შიშით ისმენდა ერი და გონს ვერ მოდიოდა... მახარე ბერი კი გრგვინავდა:

„....მხოლოდ მაშინ ვიგრძენ ძალა, როდესაც გარდავსწყვიტე, გამეღო ჩემი გონებისათვის საპყრობილის კარი და გამენთავისუფლებინა... და აჰა თქვენ წინ, სდგას გონება განთავისუფლებული. აჰა, ეს უკანასკნელი ფარდაც მონობისა ფეხით გასრისეთ, გათელეთ!...

ამ დროს თითქმის გაჭროღებულ შავი ძაძის კალთა მოიხია და ხალხისკენ ჰტყორცნა, მაგრამ ქარმა აიტაცა და მუხის წვეროზე მოაქცია...,

ამის მნახველი პირველად კათალიკოზი მოვიდა გონს და დაიყვირა:

ეგ მაცდურია!.. ჩაქოლეთ!... სარწმუნოებას ებრძვის!..

მაცდურია!... მაცდურია!

გმინავდნენ ბერები

,,მონებო! იჭექა მახარე ბერმა და ღრიალი დაჰფარა თავის ხმით: რაც უნდა ეცადოთ, გონებას ვერ ჩაჰქოლავთ!! რაც ჩქარა გაანთავისუფლებთ, მით ჩქარა მიაღწევთ კეთილდღეობას!!

ჩაჰქოლეთ! მაცდურია! ჩაჰქოლეთ! ყვიროდნენ ბერები, და სეტყვასავით ქვა წამოვიდა

ჩქარა ქვა-ყორე მუხის ტოტებს ასწვდა ისე ჩქარა მიაყარეს ქვა და ლოდი; მაგრამ, აბა მაცდური რა მაცდური იქმნებოდა, რო ქვის ქვეშ მოჰყოლოდა. რაც ქვა მაღლა იწეოდა, ისიც უფრო ზევით იწევდა. ჯერ მუხის დაბალ ტოტებიდგან და მერე კი მუხის წვეროდგან გადმოჰქუხდა: ,,მონებო, რაც უნდა ეცადოთ, გონებას ვერ ჩაჰქოლავთ!‘‘-ო ქარი კი ამდროს იმის გრძელ ნახევრად გაჭაღარავებულ თმაწვერს აფრიალებდა და ქსლად ჰკვანძავდა მუხის წვეროზე

ხალხი შეძრწუნდა. თავზარ დაცემული აბღავლდა და გაიფანტა. არც თუ ბერებს დაადგათ კარგი დღე. შიშით მიდამოს ველარ ეკარებოდნენ.

ამბობენ, აუარებელი სიმდიდრე დარჩა სოფელში და საბეროშიო, მაგრამ ვილა მივიდოდა იქ მოსაძებნად?!.

ასე დაათავა დედა ჩემმა ეს ამბავი და მომმართა, იქნებ გშია შვილო, პური ჭამე და დაიძინეო.

მაგრამ იმ ღამეს დიდხანს ვერ დავიძინე. სულ მახარე-ბერი მედგა თვალწინ. იმისი გრგვინვა მომესმოდა...

1910 2 ოქტომბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რ. ნ. გველესიანი.

ა. პ. სარაჯიშვილი.

30 ნოემბერს 1884 წ. საქართველომ თავისი ერთი უნიჭიერეს შვილთაგანი დაკარგა—ეს იყო მხატვარი რომანოზ ნიკოლოზის ძე გველესიანი, რომელიც ჯერ ცხოვრებაში გამოუსვლელი ჭლექით გარდაიცვალა. ბედმა გზა გადულობა სწორეთ სამხატვრო აკადემიის გათავების შემდეგ და ამით მოუსპო მას საშუალება აეყვავებინა შესანიშნავი ნიჭი, რომელიც ეჭვს გარეშეა, გველესიანს მხატვრობის კორიფეების რიგში მოაქცევდა. ასეთია მრავალტანჯული საქართველოს ბედი: ბევრი ისეთი ნიჭი იღუპება გაუშლელი, რომელსაც შეუძლია სამშობლო აღამაღლოს, ან არ იშლება იმ მდგომარეობათა წყალობით, როგორსაც იგი სამშობლოში ჰპოვებს.

მოხარული ვარ, რომ შემთხვევა მეძლევა გავაცნო ჩემს თანამემამულეთ რ. გველესიანის პიროვნება, რომ ამით მაინც ვცე ღირსეული პატივი მის ადრე დაღუპულს ნიჭს.

რ. ნ. გველესიანი, კახეთის შვილი 1881 წლის შემოდგომას სამხატვრო აკადემიაში შევიდა. აქ მან ბევრი მოდელების და სურათების შესწავლით და მხატვრების ხელმძღვანელობით მალე ნათლათ გამოაჩინა თავისი ტალანტი, რომელმაც ჩქარა იწყო წინსვლა და მასწავლებელთა ყურადღება მიიქცია. გველესიანი ბეჯითად მუშაობდა და პეტერბურგში ყოფნის მეორე წელსვე ერთს საუკეთესო აკადემისტათ ითვლებოდა. თეორიული კურსის გათავების შემდეგ გველესიანი ითვლებოდა ჟურნალ „ნოვის“ და „ზადუშევნოე სლოვოს“ თანამშრომელ-დამსურათებლათ. მისმა ვ. ს. სოლოვიოვის „ბედნიერება“ და ს. დ. დროჟჟინის „ზამთარი“-ს ილიუსტრაციებმა და სხვ. საზოგადო ყურადღება მიიქციეს, რის შემდეგ ახალგაზდა მხატვარს მრავალი საქმე ეძლეოდა, თვით საზღვარ-გარეთელ გამომცემელთაგანაც კი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც მისი აკადემიელი ამხანაგები ამბობენ, გველესიანი იმდენად სანდალოვანი ილიუსტრატორი იყო, რომ ჯერ ისევ სტუდენტობაში თვეში 500 მანეთზე არა ნაკლები შემოსდიოდა. მაგრამ ცივმა ჩრდილოეთმა ცუდი გავლენა იქონია მის ჯანმრთელობაზე, და მძიმე ავადმყოფობამ უკვე ხელი დააპყრა. 1883 წელს ზაფხული თავის სამშობლო კახეთში გაატარა, რომლის ბუნება მას გაგიჟები ო უყვარდა; მაგრამ დასვენების მაგიერ აქაც პეტერბურგზედ ნაკლებ არა მუშაობდა: ბევრი ეტიუდები დაამზადა. თუმცა სოფელში იგი ვერ მორჩა, მაინც შეუძლებლათ სთვლიდა სწავლის შეწყვეტას; ექიმებისა და მეგობრების რჩევას არ მოუსმინა და ისევ პეტერბურგისკენ გასწია, საცა უფრო გულმოდგინეთ შეუდგა მუშაობას. მთელი 1884 წელი პეტერბურგში დაჰყო და აკადემიის მთელი კურსის გასათავებლათ ემზადებოდა. თავის მიზანს მშვენივრად მიაღწია, მაგრამ ჯანმრთელობა კი სულ მთლად შეალია თავის მისწრაფებას.. აგვისტოში თავისუფალი მხატვრის დიპლომი მიიღო და 30 ნოემბერს კი გადაიცვალა თბილისში. 2 დეკემბერს 1884 წელს რ. გველესიანის გვამი დაასაფლავეს პეტრეპავლეს სასაფლაოზედ.

უეჭველია ბევრი მისი ნაწარმოები დარჩა ამხანაგებთან, ნათესავებთან და იმ რედაქციებში, საცა გველესიანი თანამშრომლობდა. ძალიან სასურველად და საჭიროდ მიგვაჩნია ამ ნაწარმოებთა მოგროვება ჩვენი მომავალი მუზეუმისთვის. მე ჯერ რამდენიმე სურათი და კარანდაშით ნახატი ორი ალბომი ვიპოვე. ამ სურათებს სავსებით არ შეუძლიანთ აშკარათ დახატონ უდროოდ დაკარგული გველესიანის ნიჭი. მაინც იმედს არა ვკარგავ, რომ მისი ნათესავებისა და თანამედროვე ამხანაგ მხატვრების საშუალებით შეძლება მომეცემა შევაგროვო გველესიანის ნაწარმოებნი. ამიტომ ამ ჩემი წერილით მივმართავ, ვისაც კი რამ აქვს, ან იცის მის სურათებზედ — დაგეხმაროონ და ერთად შეგვაგროვებინონ.

ძირითადი კანონი

გიორგი გვაზავა

სახელმწიფო ბეჭედი არის შემცირებული სურათი ემპერიისა.

მოსკოვის სამეფომ ჯერ კიდევ საშვალო საუკუნოებში დაიწყო ზრდა და ძალიან გასწია თავის საზღვრები. მან თან და თან შემოიერთა სხვა და სხვა, მის ირგვლივ მდებარე, თავისუფალი სამთავროები. ამ რიგად, როცა შეკრებილ და შეერთებულ იქმნა ერთ ბრძანებლობის ქვეშ ყველა მიწები რუსეთისა, დაიცვა ზოგი მოსაზღვრე სამეფოებისა.

პირველად დაპყრობილ იქმნა სამეფო ყაზანისა, შემდეგ — ასტრახანისა. ამ ნაირად რუსეთი მოსაზღვრედ გახდა აღმოსავლეთით და აღმოსავლეთ-სამხრეთით: ციმბირისა და კასპის ზღვისა. დასავლეთით ჯერ კიდევ არსებობდა სამეფო პოლონეთისა და სამხრეთით — ტავრიდის ხერსონესისა ან ყირიმის საყეენო.

ისტორიული გზა რუსეთის ტერიტორიალურ განვითარებისა ასტრახანის შემოერთების მერე მიდის ამნაირად: შემოერთებულ იქმნა სამეფო პოლონეთისა, ცი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ომის ნაყოფი. ქანდაკება.

მბირი და ტავრიდის ხერსონესი. ამ ნაირად რუსეთის საზღვრებმა გაიწია დასავლეთით და აღმოსავლეთით. გაიწია სამხრეთითაც და მოაღწია თითქმის კავკასიონის მთებამდე, სადაც იწყებოდა საზღვარი საქართველოსი, როგორც დამოუკიდებელი სამეფოსი. მერე საქართველოც შეეკრა რუსეთის სახელმწიფოს ცნობილი პირობებით და ბოლოს შეუერთდა კიდეც.

შევჩერდეთ აქ...

ეს ისტორიული მომენტები რუსეთის ზრდისა და განვითარებისა აღნიშნულია არა მარტო ისტორიაში. ყველა ამ მომენტებში იხატება არა მარტო ლაშქართა მოძრაობა, ბრძოლის ველი და სისხლის ღვრა. რა საკვირველია ყველა ეს იყო, იყო აგრეთვე: სახელის და დიდების მოხვეჭა, სიმდიდრის მოპოება, შექმნა ისტორიის და საერთაშორისო მნიშვნელობისა...

მაგრამ ამავე დროს არის ერთი ელემენტიც, რომლის დავიწყება შეუძლებელია, რომელიც ყოველ აზრის მიმდინარეობაში მოულოდნელად ელავს და თავისებურად ანათებს და აწესრიგებს ცხოვრების სსვა და სხვა მოვლენას. ეს ელემენტი გახლავთ: უფლება.

ისტორია აღნიშნავს სახელოვან წინმსვლელობას რუსეთის ერისას; უფლებრივი ელემენტები კი გამოხატულია და აღბეჭდილი ძირითად კანონებში: სახელმწიფო ბეჭედსა და იმპერატორის ტიტულში. სახელმწიფო ბეჭედზე გამოხატულია ღერბები სხვა და სხვა შემოერთებულ სამეფოებისა და იგივე მხატვრობა სიტყვით გამოთქმულია იმპერატორის ტიტულში. სახელმწიფო ბეჭედის მეექვსე ღერბში იხატება „სამეფო საქართველოისა.“ ტიტულში ხელმწიფე იმპერატორი, სხვა მრავალ უმაღლესი განმარტებათა შორის, ნახსენებია, როგორც „მეფე საქართველოისა.“ აი ეს ტიტული შემოკლებით; „იმპერატორი და თვითმყრობელი სრულსრულიად რუსეთისა... მეფე ყაზანისა, მეფე ასტრახანის, მეფე პოლონეთის, მეფე ციმბირისა, მეფე ტავრიდის ხერსონისა, მეფე საქართველოისა...“

აქედან აშკარაა რომ, საქართველო შეუერთდა რუსეთს, როგორც სამეფო, ყოველი მისი სახელმწიფოებრივი უფლებებითა.

(ული შემდეგ ნომერში)

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავრდომილი სნეული...

რომანსი

მუსიკა — ანდრია ყარაშვილისა

კ. მაყაშვილი.

დავრდომილი სნეული უნუგეშოთ ვტირი მე,
კვნესის, ოხრავს ეს გული—რა ვქნა შენი ჭირიმე? bis
სანამ მქონდა ძალ-ღონე, სევდას ვკლავდი მე მალე,
ახლა მას დავემონე—რა ვქნა შენ გენაცვალე? bis
მწარე ცრემლით ავივსე, გული ცრემლით გავბანე;
მაგრამ აივსო ისევ—რა ვქნა შენ გეთაყვანე? bis
გული კვნესის დამწვარი, ვწყევლი მუდამ ბედსა მე
რა ვქნა, რა ვქნა?—მითხარი—შენი ჭირი, კვნესა მე. bis

ანდრია ყარაშვილის

სხვა ნაწარმოებნი:

1) **სკრიპკისა და ფორტოპიანოსთვის:**

ფუტკარი	50 კ.
მაზურკა № 1	50 კ.
მაზურკა № 2	50 კ.
Perpetuum mobile	50 კ.
„ლოთებო ნეტავი ჩვენა	70 კ.

2) **პიანინოსთვის:**

საზანდარი (სამშობლო)	50 კ.

3) **სასიმღერო:**

ისევ შენ და ისევ შენ	25 კ.



იყიდება ყველა საფსიკის მაღაზიაში

Andantino

Canto

Piano

p

დავრდო - მი - ლი

სნე - უ - ლი უ - ნუ - გე - შოთ ვსტი-რი მე კვნე-სის ოხ - რავს

ეს გუ - ლი რა-ვქნა შე - ნი - ჟი-რი - მე.

rall. diminuendo

ეროვნული ბიბლიოთეკა

მღვიმეში

ფანტასტიური სანახაობა სამს ნაწილათ.

შალვა დადიანი.

მომქმედნი:

მთავარი.

სურათა, დედოფალი.

ნაზი-ბროლა, მთავრის და.

ქურუმთ-ქურუმი.

უშუყ-ვეზირი.

ბინდია, ახალგაზდა წარჩინებული.

ლუკლუკა, მთავრის ხუმარა.

ზენის, მგოსანი.

სახიერი, ახალ-გაზდა ვაჟი.

მზენათ, ახალ-გაზდა ქალი.

ფიცხელა, მუშა.

დიდებულნი, მხცოვანნი, წარჩინებულნი. მხლებელნი, შიმუნვარნი, მუშები და ხალხი.

ნაწილი პირველი.

დიდი გამოქვაბული. ზემოდან თაღია შეკრული, რომელსაც აქა-იქ ჩამონაღვენთები ჰკიდია. კარების მაგივრად მაღაროები მოსჩანს. შუაში ტბაა, რომელსაც გარს ოდრიკალი ავლია და აქა-იქ ჯირკის მაგვარი ჩამოსაჯდომებია გაკეთებული. კედლებში თვლებია ჩამჯდარი უცხო ქვებისა და ლითონებისაგან გამოწდობილი, რომელიც ანათებს იქაურობას. ყოველივეს მწვანე ფერი დასცემს. მოსეირნეები მიდი-მოდიან. ზოგიც ჯირკებზე ჩამომჯდარა. მორთულობა, ტანისამოსი უფრო ფანტასტიური. ზოგან ევროპიელიც. ერთ ალაგას შეჯგუფულან: მზენათ, სახიერი, ბინდია და კიდევ რამდენიმე.

სახიერი. მე სულ არ მიკვირს.

ბინდია. ვითომ რატომ?

სახიერი. მე ვამტკიცებ, რომ დროომ მოიტანა

მზენათ. დროომ მოიტანა? — ცუდათ ამბობ.

ბინდია. ვიცი რასაც იტყვით! რომ დროს ვითომ თვით თქვენა სჭედდეთ.

მზენათ. არა, დროს კი არა — გარეოებას.

ბინდია. (დაცინვით) თქვენ ქმნით განა გარემოებას?-ბედის მჭედელნი! — თქვენ, რომელთაც ცხოვრების ერთი ძლიერი ტალღა მთელი სიცოცხლის ვრცელ წრესაც კი სულ გორგალით შემოგატარებთ?!

სახიერი. რა დახავსებული და ძველი აზრია!

მზენათ. ეგ არც აზრია, ეგ ძველი ცრუ-მორწმუნებაა. მაგათ სწამთ ეგრე, რომ ბედია ყოველის გამგე და ხელები დაუშვიათ — დე, ბედის-წერამ, რაც ენებოს იგი გვიყოსო.

სახიერი. ეგ ხომ მონური შეხედულობაა!.

ბინდია. სახიერო, დაიმახსოვრე შენი ნათქვამი.

სახიერი. ვუკვირდები ყოველთვის ნათქვამს.

ბინდია. არ ინანო...(სხვებიც შემოერევენ)

I-ლი რა ამბავია? ხმასრათ აუმაღლეთ?

ბინდია. (უჩვენებს სახიერსა და მზენათზე) ილანძღებიან

I-ლი ტყუილ უბრალოთ?

ბინდია. განა არ იცნობთ: ახირება დიდი იციან.

I-ლი მაინც რას ბჭობდით?

სახიერი. მე გეტყვით ეხლა: აქ ვახსენეთ ჩვენ იმ დღის კრება. ..

I-ლი აჰა საცა ის აზრი შემოიტანეს, რომ ჩვენი თაღი უნდა დაირღვესო?

ბინდია. დიაღ, ეგ კრება. საცა მოვი-

დნენ ეს ახალი ბედის მჭედელნი და დარღვევასა, ჩამოქცევას გვიქადაგებენ....

სახიერი ღამაცადეთ. ჯერ დავათავო! — ვახსენეთ კრება და, როგორც იცით, ამას მოჰყვა აზრთ მიხლა-მოხლა. ეგ საპატრიოტ ბატონი ბინდია თავისას იცავდა. მე და ტურფა მზენათი კი თავისას.

ბინდია- და, როგორც იცით, არ მაცალეს ჩემი აზრის თქმა, მაგათ, ბედისმჭედლებს ხომ ზნეთ სჭირთ მოუთმენლობა და თუ თავისი არ გაუგონეთ, ან არ დაუჯერეთ, თუ არ იწამეთ მათი ახლად შენამზადი ყალბი აზრები, მზათ არიან, როს გტანჯონ, გაწვალონ, არამც თუ ცოტა მოგითმინონ და ყური დაგვიგდონ.

სახიერი. ეგ ცილის წამებაა, ვაშა-კაცო! თუ არა და თვით ხალხმა განსაჯოს, ვინ უფრო წიწმატობს ჩვენ ორ ბანაკს შუა; ჩვენ, ბედის მჭედელნი, როგორც ხალხმა დაგვარქვა, თუ თქვენ, ბედის მონანი, როგორათაც კვლავ ეგ ხალხი გიწოდებსთ!

მზენათ. აბა რას ამბობთ! სიმართლე ხომ მუდამ მწვავეა და მუდამაც ის ფიცხობს ხოლმე , ვისაც ამა სიმართლისაგან ემწვავება. ჩვენ რა გვაქვს ასაღლვებელი! ჩვენ მხოლოდ ვუთითებთ, ჩვენ მხოლოდ ვაჩვენებთ თუ რა სჯობს მათთვისვე. ჩვენ ვუმტკიცებთ, რომ თაღის გარღვევა აუცილებელია. რათა? მისთვის, რომ მზე გვაკლია. ამ ვრცელსა და ფართო მღვიმეს შექმნილს ხელოვნურად, აკლია სინათლე ბუნებრივი, აკლია ის ცხოველმყოფელი ძალა, რომელიც ყოველივეს სიცოხლეს აძლევს — და ასულდგმულებს. დახედეთ ჩვენს სახეს როგორ მინაზებულია. მიმქრალი, როგორათაც ვარდი ამ ტბის ძირათ ამოსული. რათა? მას აკლია მზე. მზე ბუნებრივი, რომ მისცეს ძალი და ჩაუნერგოს ღონე მაცოცხლებელი საკმაოა რომელიმე ხვრელიდან ჩამოჭრილი უბრალო სიოც, რომ ასე სუსტათ ნაზარდი ყვავილი მყის მოსწყვიტოს, ან დაჭკნოს. საკმაოა ჩვენთვისაც უბრალო რამ წვრილმანი დაბრკოლება ცხოვრებაში, რომ უეცრად მოვეშვათ და ხელი უტიოთ იმ საქმეს სათავეშივე, რომელსაც შეეძლება პირველათ დიდის ხალისით მოვეკიდეთ; და შემდეგ ხელ-მოცარულნი ბედს დავემორჩილეთ, გავხდეთ ბედის მონანი. რათა? მატომ რომ მზე გვაკლია. მიტომ რომ აი ჩვენს ხელოვნურს ბნელს გარეგმოს შეჩვეულნი, ამ მდორე ტბასთან აღზრდილნი — ჩვენც მოშლილნი ვართ და ჩვენი ცხოვრების ტალღაც აგრე ნელა ჩქროლავს, როგოც ამ ტბის ზედა-პირი, ისიც გარეშე სიოსაგან ამოძრავებული. დიაღ, ჩვენ ბედის მონები ვართ, ხელ — დაშვებულნი, მოუძლურებულნი, მაგრამ ჩვენ სულ სხვა გვინდა! ჩვენ გვინდა ნამდვილი სიცოცხლე, ჩვენ გვინდა უფრო დიადი განცხრომა, ნეტარება. სრული დატკბობა ცხოვრებისაგან მონიჭებული უხვის მადლით და იმისთვის კი გვინდა მზე და მზის მოსაპოებლათ თაღის გარღვევა.

ბინდია. დახედეთ მზენათს! რა გაცხოველდა? სიდან ეს ძალა?.. ჩვენი ვარდი ნაზი საყნოსველი უნდა იყვეს. მისი გამბრუებელი სურნელება უხილავათ, ხელ მოუკიდებლად უნდა იფინებოდეს ჰაერში, რომ მითი დამტკბარნი ნელათ ვეძლეოდეთ თავდავიწყებას, ჩვენ არ-რა გვინდარა ფიცხი, ცხად-საგრძნობელი! ჩვენ არა გვწამს პირდაპირ შეტაკებული თუნდა თვით უმწვერვალესი გრძობაც. ჩვენა გვსურს წყნარი, უჩინარესი, გაუმხელელი განვცხრომა, ნეტარება.

სახიერი და კიდეც მაგაშია შეცდომა რას ნიშნავს ეს გაუმხელელობა? ეს ჩემი, გაუბედავი ნეტარება? ეს ქურდული, თითქო მოპარული დატკბობა ცხოვრებითა?! რა გვაქვს დასამალი! კაცს, ადამიანს ღაღსა და თავისუფალს, ბუნებისაგან ესრეთ შექმნისა, არ შეშვენის მონური ქედის მოხრა. მისი ყოველი საქციელიც, თვით

განცხრომა და ნეტარებაც გაბედული უნდა უნდა იყვეს, უშიშარი, ზოგჯერ კადნიერიც. კაცის ამყი სული რათ უნდა ამალებოდეს ბნელს სოროში, რუსთვის შეუქმნია მას ეს მყარი კედლები, რათ გადაურტყამს თავზე ეს სქელითაღი? რას ვმალება მზეს? არა, ეხლა კი კმარა. ძველი შეცდომა უნდა გამოსწორდეს! უნდა გაირღვეს ეს თაღი და მზე უნდა საყოველთაოდ მოგვეფინოს!

ხმები ოჰ, შენი ჭირიმე შენი, მაგ სურვილისათვის!

I—ლი. ღმერთებო! რა ამბავია იმ კრებაზე.

ხმები. შენ ეს მითხარი, ეხლა რა ამბავია მიდამოებში? რას ამბობს ხალხი? თორემ რაც იყო, ეგ ხომ ჩვენც ვიცით.

I-ლი ჰმ... რას ამბობს ხალხი თქვენი, ე. ი. ბედის მჭედლების სანაცვლოთ თავსა დებს. ასე ამბობენ-ყველანი აღვსდგებით და წავალთ, ოღონდ თაღის გარღვევა კი მოგვესწრებოდესო.

ბინდია. ხალხი ამბობს ამას? საიდან მოიტანეს, ან ვინ ჩააგონა?

I-ლი ვინ შთააგონა? განა თქვენ თკეთარ მოგეხსენებათ? ვაშა-კაცო ბინდია?

მზენათ. შთააგონაო? მაგრამ რას ამბობთ! შთაგონება რა საჭიროა?! განა როდესაც კაცს შია, იმას შთაგონება უნდა, რომ გშია და იზრუნე საკვების მოსაპოებლათაო, ან, როდესაც კაცი ავათ არის — ავათა ხარ: უნდა იწამლოვო?! ეგ თვით ხალხის სურვილი იყო. მისი გულის ნადები.

სახიერი. აზრი თვით ხალხში დაიბადა, მხოლდ მთქმელი კი სხვა წრეში იპოვნა. ე. ი. გამომთქმელი მისი ჭირვებისა.

ბინდია. ეგ კი მეც ვიცი რომ გამომთქმელები, ანუ უკეთ მზის-მაძებარნი ჩვენშიაც იყვნენ საუკუნოების ბურუსში ნათლად გამოსჩანს მათი საპატიო სახელი, მაგრამ ის სულ სხვა იყო. იქ მეოცნებენი იყვენ, სანატრიონს დაწყურებულნი. ეხლაც გვყავს ერთი მათგანი ჩვენი მგოსანი სახელოვანი ზენის.

სახიერი. ჰო და მაგისთანებმა გამოთქვეს ხალხის წადილი, ხალხსაც გულს ჩასწვდა-აი რა მსურდაო და ეხლაკი აბობოქრდა.

ხმები. მთავრის ასული, ნაზი-ბროლა!

(საერთო ჩოჩქოლი. გარდა მზენათისა და სახიერისა, ყველანი პირქვე ემხობიან. გამოდის ნაზი-ბროლა საუცხოვო სახისა და მორთულობის ახალგაზდა ქალი. როგორც ყველა მოქმედი პირი, ისე ესეც ფერ-მკრთალია, მაგრამ ეს ფერ-მკრთალობა მას უფრო ჰაეროვნათა ხდის და ამშვენებს. თითქოს გედივით მოსცურავდესო, ისე მოემართება),

ნაზი-ბროლა. (წყენით და მკაცრად). ნუ ემხობით პირ-ქვე რით ვერ შეგაჩვიეთ? ადექით-მეთქი! (წამოდგებიან მოკრძალებით). რათ არა გრცხვენისთ? რამდენჯერ მითქვამს თქვენთვის, შეგხვეწნივართ ყველას, რომ ეგრე ნუ მომეპყრობით-მეთქი! შენც, ვაჟკაცო ბინდია, კარგ მაგალითს აძლევ სხვებს?!

ბინდია. (განკრძალვით თავდახრილი დგას) მთავრის ასულო! ჩვენს ჩვეულებას წინაპართაგან ნაანდერძევს მე, სანამ სული მიდგას ვერ ვუღალატებ. ჩვენ ასე გვწამს რომ თვით ღმერთმაც კი თვალი უნდა დახაროს, როცა მთავრის ასული მათ წინ გაიარს, არამც თუ მომაკვდავის თვალებმა შებედონ შენი ჭვრეტა.

ნაზი-ბროლა- თავი აიღე ბინდია! დახედე ამათ! (უთითებს სახიერს და მზენათზე. ორივეს შუაში დგება და ხელს უჭერს). მათ კარგათ იციან, რომ მე მხოლოდ ადამიანი ვარ. ადამიანი ყოველის თავის ნაკლითა და ღირსებით აღჭურვილი, რომ მეც ეგრევე მსურს ტანჯვაცა და ნეტარებაც, როგორც ყველას თქვენ; რომ მეც უბრალო მომაკვდავი ვარ.

ბინდია (ეკვლავ თავდახრით დგას). მაგას რათ ბრძანებთ, მთავრის ასულო! თავმდაბლობა დიდებულთა წესია, მაგრამ თქვენს ქვეშევრდომთ ეგრე კადნიერს ნუ გაგვხდით, რომ ბრიყვობის ტაიჭს მოვაჯდეთ და თქვენს წინაშე წარა-მარა ვითარეშოთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაზი-ბროლა. თავი აიღე ბინდია! შენს წინ მხოლოდ ადამიანი სდგას. (რადაც წარმტაცი სინათლე ადგება სახეზე)

ბინდია (თავს აიღებს და შტერდება ნაზი-ბროლას დანახვით) ოჰ, წარმტაცო მშვენიერებავ! (დაბარბაცდება და თავს ისევ ჩაქინდრავს.)

ნაზი-ბროლა. (ბაუზის შემდეგ.) ბინდია, მე შენ გიყვარვავ!

ბინდია. (მუხლებში ჩაუვარდება) მომიტევე, მთავრის ასულო! არა, ეს რა ვთქვი მდაბიო მონამ... მომიტევე კი არა, მომკალ, გამანადგურე! უბრძანე, რომ თავი მოვკვეთონ.

ნაზი-ბროლა აღსდექ, ბინდია!

ბინდია. (ისევ ისე დამხობილი) მთავრის ასულო! უბრძანე, რომ უღირს მონას ღირსეულად მოჩექტენ. მომაგე სამაგიერო ჩემის კადნიერის განზრახვისა; თუმცა ამ უკანასკნელად, ვიცი, მომისმენ. ეს ჩემი ბრალი არ იყო. ჩემდა უნებლიეთ გულს მიძვრებოდენ კადნიერი ზრახვები, საამაყო, ქედ მაღლური რამ სურვილები და, თუმცა მათ გულში ვიხშობდი, ვიკლავდი იქვე, მაგრამ, ცოტა ხანდასმით კვლავ სასისტოცხლოდ იქცევდენ პირსა და ესრეთ მტანჯავდენ, ტეტხლს მიკიდებდენ. მიტომაც იყო მთავრის დარბაზში არ მეჯდომებოდა. იქ ხომ ნება გვაქვს ჩვენ ვაშა-კაცებს მთავრის ნადიმზე გიყუროთ პირის პირ მთავრის ასულთ და დედოფლებსა. ვერ მოვერიე, ჩემ საბედისწერო გრძნობამ დამიმორჩილა და აჰა, გულთა მხილაო, მიხვდი შენ შენის ნათელის, გამჭრიახის გრძნობა-გონებით ჩემს კადნიერს გულის წადილთა და მომკალ, მტანჯე, რაც გინდა მიყავ, ღირსი ვარ ყოვლის, ჰა, ჩემი თავი!

ნაზი-ბროლა, (შუბლს შეკრული) აღსდექ, ბინდია! ჩემი ძმა, ჩვენი მთავარი, გეძებდა წელან! გასწი მასთან.

ბინდია. (ეოუმანით დგება და მეტის-მეტი გაცოფებული) როგორ... მე?...

ნაზი-ბროლა გასწი-მეთქი,

ბინდია, გაკვირვებული თავ-დახრილი უკან იხევს და მადარაში იმალება).

ნაზი-ბროლა. რა მეზიზღება! მაგრამ განა თვით აქვს დანაშაული? სხვა (მოსეირნეები, გარდა მზენათისა და სახიერისა თან და თანობით ჩამოეტლებიან. ზოგი ცოტა ხანს კიდევ მოსჩანს, მაგრამ შემდეგ სრულიად იმალებიან მადარაებში)

მზენათი. რა თქმა უნდა ცხოვრების პიროობებს.

სახიერი. საშინელება არ არის, კაც ქონდეს რამე გრძნობა, რამე აზრი, სურვილი წრფელი და ვერ გაემხილოს, ვერ ეფიქროს თავისუფლად, იმიტომ რომ ერთის მხრით შთამომავლობა უშლიდეს ხელს და მეორე მხრით დაკანონებული ზნე-ჩვეულება?!

მზენათ. მართლაც ახირებული არ არის? ჩვენი ჩვეულებით თვით მთავარს და სეფეწულებს მხოლოდ მათ დარბაზში შეგვიძლიან შევხედოთ პირდაპირ და გარეთ გამოსულს კი არა. ეს რა ბარბაროსული ჩვეულება შემოგვრჩენია!

ნაზი-ბროლა. რამდენი რამ გვაქვს შემორჩენილი ისეთი ჩვეულება, რომელსაც უკვე თავისი დრო მოუჭამია, მაგრამ... მაინც მეზიზღება ბინდია ვაშ-კაცი, ეგზომ გაუბედავი?

მზენათ. არა, ჩემის ფიქრით უფრო სიბრალულის ღირსია, რომ ვაშა-კაცი დიალ შესამჩნევი ჩვენს ქვეყანაში, ნიჭით, გონებითაც და მამაცობით ხომ ძლიერ განთქმული, წმინდა რაინდი ეგრე საბრალოთ მიწაზე ფორთხავდეს იმისთვის, რომ ესეთია ზნე-ჩვეულება. ფუჰ, ამ ჩვეულებას! აი რაა შესაზარი!

(შემდეგი იქნება)



როსტომიანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სარგის კაკაბაძის რედაქტორობით*)

კარი პირველი.

დასაწყისი როსტომიანთა

თავი ეს არის პირველი მანუჩარ ხელმწიფისა და სამ ფალავნისა.

1. ჯი შემოქმედო, ნუ წამწუმედ, სახმილთა დამხსენ ალია,
თავი ეს არის როსტომთა, ბოლომდი ლექს მრავალია,
ქაიხოსრომდი გავლექსო, დვთით ვიტევი რა სავალია,
და ნეტარ რა გვიეო სპანდიატ, სოფელი წარმავალია.

2. ბრძენი ვინცა ხართ, გასინჯეთ, სტანთ ჩემი დანაპირობა,
მიბრძანეთ, ფილოსოფოსნო, განა სჯობს გვარსა ზრდილობა?
თქვენ შემახვეწეთ უფალსა, არ მიეოს ჭკვისა მტირობა,
და გამოიჩნდების ლექს ზედა ან ჩემი გულმამხვილობა.

3. იეო მანუჩარ ხელმწიფე, გმირი და სახელიანი,
სამ, ძე ნარიმანისა, მორჭმული, ნიმროზიანი,
მას ხელთა ჰქონდა ქალაქი ზაული სიმაგრიანი,
და სხვა ძე არ ესვა შედეგად, ჭმუნვით ჯდა გულნაღვლიანი.

4. შემოქმედსა ეხვეწების, შემიცვალე ჭირი ლხინად.
დაორსულდა ცოლი მისი ტან სარო და ვარდი ბირად.
ბირად მზეა ლალის მსგავი, თუ სთქვა, არის ედემს ზრდილად,
და ედემია ბირმეტუველი, მულდაზარი სიტევა რბილად.

5. წალკოტია ბირმეტუველი, შემკობილი ედემს არი,
შაქრად ისმის საუბარი, ხამს სასმენლად ტკბილი არი;
ალდონი რომ ეიოდეს, სიტევა მისი უამ არი.
და გავს სამოთხით მონაბერსა, მუშკ-ამბრისა მოქრის ქარი

6. რა სამ ცნა ორსულობა, მას თავადნ ულოცვიდეს
ლმერთსა ესვენ მხიარულნი, შემოქმედსა მადლი მისცეს
ურმა შვილისა ბოძებასა ზაულელნი ინატრიდეს,
და ებატონოს ტახტ-გვირგვინსა, მამისებრი გამოვიდეს.

7. მეცხრესა თვესა ვაჟი შვა, თმა ესხა გათეთრებული.
ბილოტანია მსათობი, ვით მთვარე ბირ-გავსებული
გვანდა ბაბასა ნარიმანს, თქვეს სავალვანოდ ქებული
და სტავრა-ოქროთა დარბაზი ჩნდა მზეებრ გაბრწყინვებული.

8. ასაკი სრული, მკერდ-მკლავი ვაჟისა მან აქიანდა;
თეთრი თმა ნახა დედამან, დაჭმუნდა, დანაღვლიანდა.
სამ არ იცის, უხარის, ლხინითა განათლიანდა
და უნახავია კატთაგან რაცა მეჯლისი ქნიანდა.

9. მას სახელად ზაალ დასდვეს, ვაჟი კარგად იზრდებოდა.
სამს შიშით ვერ გაანდო, დედა ლხინით იშლებოდა;
მელნის ტბათა ნაგუბარი თვალთა ცრემლი იდვრებოდა
და ლალისა თვერი წაუვიდა, ბროლსა გული უჭკნებოდ.

10. ერთი კაცი დიდებული სამს თანა იეო ზრდილი,
გაანბირა გამჟღავნება, მას უჩვენოს დედამ შვილი.

*) როსტომიანის შესახებ ჩვენს ჟურნალში დაიბეჭდება ცალკე გამოკვლევა.

ბრძანა,—რაინდ მოიეგანეთ, ერთგული და გავ-
ლენილი,
და მას განდო ტირილითა ეუბნების შიშნეული.
11. მის ვაჟისა ეგეთობა გაუცხადა, ხელთა
მისცა.
თქვენგე ბრძანეთ,—სქმე ჩემი წაეკიდა სხვასა
ვისცა?
რაინდ ვაჟის ასაგობა გაუშინჯა, მუნგე მისცა
და მოეწონა სიოვლავნოდ, შემოქმედსა თაყვანი-
სცა.
12. რაინდ გული დაუამა: რად სჯმუნავო,
შუქო მზისა?
ვაჟსა დგთისა სიოვრეული აც ნიშანი სიკეთისა.
თმა თუ თეთრი გამოსხმია—ბრძანებაა განგე-
ბისა,
და მადლი მასგე წადილია მოსხმა თმისა სხვ-
ტაკისა.
13. რაინდ ბრძანა: აწვე წავალ, თვლავანსა
გავუმეღლავნებ,
მეშინიან, არ უნახავს. ამ სქმესა მოვახსენებ.
თვითან ნახოს შვილი მისი, მოვეგვან და მას
ვუჩვენებ,
და თმის სითეთრე ბატიეთა დგთისაგან, —მას
გავაგონებ.
14. წადგა უშიშრათ ბატრონთან, მას კა-
დრა სიტყვა ჯკვიანი
წავიდეთ. ნახეთ ძე თქვენი, დგთისაგან სა-
თვრეული ანი,—
აწვე გავს დიდსა ნარიმანს შვენებით ასაკიანი
და სასმს იამა, ზე ადგა წასავლად ბირნათლი-
ანი.
15. სადედოფლოს შემოვიდა, მისი მთვარე
მოიკითხა.
სირცხვილითა ვერა სთქვა-რა, წაუვიდა ფერი
დიდ ხა;
მას ბასუხი ვერა უთხრა, თვალავანმან რაცა
კითხა.
და გარდი ზათრად შეიცვალა, ბროდ ბალახში
მოიკიცხა.
16. მას აკვანი წინ მიუდგეს, მოხსენება
დაუძვირდა.
თვალთ-შავი და ბირწითელი თვითონ ნახა
რაცა სჯირდა.
თმა ბამბასა გაბენტილსა თვალავანსა ვუკვირდა
და წყენისაგან უჭკო გახდა, ვაგლახ ეს-
ბირდა.
17. ბრძანა: რა ვნახე მცოთური, სით არის
ჩვენის გვარისა?
ექვსასის წლისა კაცი ვარ, ჩემსა უბერე არისა.
ღმერთს მოუკიცხავს, ნიშანი არა სძეს ნარი-
მანისა.
და ასრე დაჭმუნდა, ვითამცა ღვიძლ გაბოლილი
არისა.
18. სასმ გამდელს გაცაუწყარა, რად მი
ჩვენე ქაჯი ავი?
გორჯასბმის და ნარიმანის, თქვი, სით არის
ნათესავი?
მართების აწვე დავიკარგო, ან მოვიკლა თვი-
თან თავი,
და ვირემ სცნობდენ მისცემია სასმს შვილი
თმა არ შავი.
19. ბერი შვილი მისცემია, ნუ დაგდებთ
ზაულს ხმასა
თვარა აწვე დავიკარგვი, გავცურდები შიგან
ზღვასა.
ორნი კაცნი შინაურნი მომისხენით, მიცემ
ერმასა,
და ტირის დედა ზაალისა, იდუმალად იტყვის
ვასა.
20. რაინდ შეგზავნა მოსანი, მისანდობნი
და ჭკვიანი;
მამამ მოაძრო აკვანსა ზაალ ღვთიე სითვრე-
ლიანი,
მათ კაცთა კალთას ჩაუგდო ვითა ვარდი და
იანი
და უბრძანა; სქმე დამალეთ, არ ვიყო აუგიანი.
21. ცხენს შესხედით, ესე სქმე ქენით,
კარგა დამითვრეთ.
ნუგის ეტყვით. ქალაქისა თქვენ სამზღვარი გა-
ირეთ.
საუბარი არად უნდა, წაიყვანეთ, მალულ არეთ
და წყალს მიეცით მოსარჩობლად, ანუ შამბსა
მიაბარეთ.
22. რა მოსათა გაიგონეს სასმისგან ნაუ-
ბარი,
კალთაშია გაიხვიეს გლახ ემაწვილი გულმდგი-

ძარი.

მას დდესა ვდეს, სადამოდის ისწრასოვინ ვითა ქარი
და გადაგდეს ზდვისა ბირსა: გავს, შემტოდე რისმე არი.

23. ტირის დედა ზაალისა, ტრემლით შეიქმს, თუ სთქვა, ზდვასა
ქმრის შიშითა ვერას იტევის, იძახდა მადვით ვასა:
„მიგტეს მხეტთა შესაჭმელად. ვინ დაგიწეებს, შვილო, ზრდასა“?
და სამ დმერთსა ეხვეწების, მან მიაბერა ბირი ტასა.

24. იტეოდა: არსის დამბადე, შენ ხარ მზისა და მთვარისა,
ბატრონი გულის სიტეკვათა, მხერობელი ხმელდეთეთისა
შემწე და შემწენარებელი ჩემი მრთლისა და მკვდარისა;
და შენგან ვითხოვე ერმა-შვილი მოტემად საბოძვარისა.

25. სიბერის ჟამსა მიბოძე, ჩვენ ამით გახარენით.
სევდა უფრონი მოსდევდა, ჭმუნვითა გავიეარენით
ამ საქმისაგან მიშველე და შენვე შეგვიწყალენით,
და თუ იეოს თესლი დეკვისა, ჩვენ მისგან დაგვიფარენით.

26. თუ იეოს შენი ბრძანება, ვერავინ შეგტიდების
მე თუმცა უმეცარი ვარ, ვერა ვიქ რაც გეწეინების.
თავს ვერ გავიდებ უშენოდ, კაცთაგან არ გეგინების,
და მოსავი მონდობილი ვარ—ეს დოტვით მოგეხსენების.

27. მერმე დაჯდა, ზაულელნი გვერდს დაისხნა მოხსენებითა:
ახლა რომე ერმა მომეტა, მე გამხადა შეჭირვებითა;
ეგო რამე ეშმაკური მტერთა ჩემთა გაცინებით
და ვერა ვიქნებით ნიმროზისტანს, ვერცა ერანს გაჩინებით.

28. სამისგან გაიგონეს, იგინიცა იკვრთმა სეტაკი დაიბადოს, ვის უხარეს, კაცს ეძებდეს;
ანუ ბარტეი თვსკუნჯისა, არცა დომის ლეკვი ეეფდეს,
და მოახსენეს: გონიერო, აწ იგი ქენ რაცა ჯობდეს.

29. დვთის ბძანებასა ვინ შესცვლის? მიგვირს თქვენისა ჭკვისაგან.
ნუ მოისვენებ დოტვითა მადლისა მიტემისაგან.
იგ ბედნიერი შობილი რა უყავ ძე დედისაგან?
და მოიძულე და გაგდე? რა ავი ნახე თმისაგან?

30 ზაალს ძიძა არვინ იისცა, არც ოქსინოს დაუგებდეს,
დომ-ვეეზვნი და ზდვის ნიაგნი ჩვიდს ძუძუსა აწოებდეს.
შვილობისა სიეკვრული ვინ დაბადა, მას აქებდეს,
და ცის მეფინველნი სურვილითა მადლა ბუდეს აიგებდეს

31. ჭაერთა შიგან არწივნი მადლა დაიდგმენ ბუდესა
გამაგრდებიან თვსკუნჯნი, გარე მოიდგმენ ზდუდესა.
თეთრი ზადასტან გაგდეს ბალახთა, გაგტუდესა;
და გორვიდა ლეკვი დომისა, მზის შუქთა დაჯმუნესა.

32. მოვიდოდა განგებითა მუნ თვსკუნჯი ნადირობად
იბოვნა და მან წაიდო მართვებთათვის გასაძღომად.
ნება იეო განგებისა: მას უბოძა ძიძობად,
და ბირ-აშკმული მხართა ქვეშე შეუგორდა ბარტეთა თბობად.

33. ბარტეთა ხორცი დაუხლიჩის, მუნ თვსკუნჯი ნადირობდა
ბირსა სისხლი ჩასდიოდა, ზაალიმით გაძღებოდა
ტახტად ქონდა ბუდე მისი, გლახ ხიმრუდი ძიძობდა;
და ვირემ ბარტეთა გაათრენდა, ამ წესითა

ეროვნული ბიბლიოთეკა

იზრდებოდა.

34. თეთრი თმა მეტად აშვენებს, იაგუნდს მოუხდებოდა.
გაიგსო ვითა მთიები, ცისკარსა ედარებოდა.
ხელთა ხმარება შეეძლო, ადგის და იარებოდა,
და ვითა გაუჩნდა გამზრდელად თვსკუნჯსა ემოუვრებოდა.

35. მასთანა დაჯდის საჯმელად, თუმცა ვერ გაძლის პურითა,
რა ჯამის, დაწვის, იძინის, ჯეგა შეესმოდის ეურითა.
შეიტეო რომე არ იეო იგი მათებრი სჯულითა.
და რომ გაისინჯვის, უბნობდის ენითა თვსკუნჯურითა.

36. ზაალ უკან გაეკიდის რა თვსკუნჯნი დათრინდიან,
მოეწეინის, დაშვრის მეტად, რა იგინი ამაღლდიან.
მან მომართის ბუდესავე, ვედარ ნახის, მოშორდიან;
და მუნ სამოთი გაიჩინა, სად პირველად იგი სხდიან.

37. იგი თვსკუნჯი მას ნადირსა უზიდევდის.
ზედა ზაალ თამაშობდის, ლომივითა აგორდებდის
სადამდისცა მთელი ევანდის ამ წესითა ნავარდობდის
და ჯეგა ჭქონდა კაცობრივი: ვით წესია ტეავ აძრობდის.

38. შეიტევის სიტხე, სიტიევე, შიმშილი, წყლისა წეურვილი.
ნადირის ტეავი შეეშვნიტის, იევის იმითა ბურვილი.
შეტიევდის, ქვეშე დაიგის, იევის იმისთვის ურვილი
და კარე ერთა ერჯვის თვსკუნჯთა, ჭქონდა მეობისა სურვილი.

39. წელიწადი ათამდისი იმან დაეო მუნ ასეთი.
თმანი კოჭთა უეარებდა, ტან სარო ლომ ნაკვეთი.
მკლავ მსხვილია, მკერდ-მკათვარი, კისერ კოშკი გაუკვეთი
და საამს სჯობდა მშვენებითა არის ბაბილ მოსაკვეთი.

40. ნადირობად მთისა ძირსა ჩამოვიდა ერთსა დღესა
თმა უკანით უკუეგდო, ერთა მორჯმული ესრვის ხესა
თვალ ნარგისი მოტინარე, პირის სახე ჭკვეს მოვარესა
და დაწვი ალსა ელვარესა, იაგუნდსა მტინარესა.

41. მასვე დღესა ქარავანი მოხვდა სითმე მოსავალი
ზაალდასტან დაინახეს; საროსებრ ტანმაღალი,
თეთრის თმითა დახურვილი პირად ვარდი, მზისა ალი.
და ესე საქმე გაუკვირდა, საუბარი თქვეს მრავალი.

42 ოთხი კაცი ცხენოსანთა—ამის ცნობად სთქმიდა გული—
მიმავალი დაინახეს, მთისავ იეო სიარული
დათრთხა, ვითა არ ენახა მისობასა კაცთა რჯული
და მუნ გავიდა მთისა წვერსა. იქ კალდე იეო უგზაური

43 უჭვრეტდნენ განცვიფრებულნი, უზომოდ განკვირდებოდეს.
უძახდეს: ღვთის მოუვარეო! ეივილით ეუბნებოდეს.
ზაალს არ ესმის სიტეევნი. ვით კაცნი არა ხლდებოდეს
და ეოლე არ გასცა პასუხი, მდევარნი დაბრუნდებოდეს.

44. ზალდასტან დადგა დარბაზსა, სიმრულსა ჭქონდეს გებულნი.
თავისა გზასა წავიდნენ იგ კაცნი გაკვირვებულნი.
ეოვეალგან თქვეს ეს ამბავი სიზმრითა ვით ოცნებულნი;
და აქ ნახა საამ ჩვენება საჩინოდ განცხადებულნი.

(შემდეგი იქნება)



ეროვნული ბიბლიოთეკა

რედაქცია ბოდიშს იხდის, რომ სტამბამ განცხადებათა დაბეჭდვა ვერ მოასწრო.

რედაქტორი-გამომცემელი
თავ. ნ. მ. ლორთქიფანიძე.